№ 24 (48) 1930 წ. 31 დეკემბერი. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

# დროშა



ცემენტის ახალი გიგანტი კასპში

წელიწადში ამუშავებს 720.000 კასრ ცემენტს, ყოველ დღიურად იტვირთება ვაგონების ერთი შემადგენლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა



თუ როგორ უმასპინძლდება მსოფლიო კაპიტალიზმი აჯანყებულ არაბებს.

## „თავისუფლების" ქვეყანაში





გერმანელების ნაციონალურ დღესასწაულის დღეს მუშებმა კომპარტიის მეთაურობით მოაწყეს საპროტესტო დემონსტრაციები. დემონსტრაციების ლოზუნგები იყო: „პური და სამუშაო". პოლიცია ენერგიულად მუშაობდა დემონსტრაციის გასაფანტავად. დააპატიმრეს მრავალი მუშა.



**დირიჟაბლ „პრავდას" სასარგებლოდ.**

გერმანელ მუშების დელეგატებმა, რომლებიც ესტუმრებიან საბჭოთა კავშირს, დირიჟაბლ „პრავდას" ასაგებად შესწირეს თავიანთი ქორწინების ბეჭდები..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16 
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.



F 686

დამკვრელი მჭედელი ლითონის ქარხანაში ორთქლით მომუშავე გრდემლთან.

# ენთუზიასტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიალებს ათასი მუშა-ხელი.

შებოლილ სიღრმეებიდან ქმნიან დიზელები, შრიალებენ ღვედები.

ჭერთან ახლოს გაჭიმულია მილები სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა სისქის.

ჩამომსხმელ საამქროში ღუდღუდებს ლითონი. ღარიდან ოქროს რუსავით მიმდინარეობს გადამდნარი თუჯი და ასხამენ ყალიბში. ჩასხმისას ნაპერწკლები ლილისფრად გატკაცუნდებიან.

ტრიალებს ათასი მუშა-ხელი.

აი ისინი: საამქროების შებოლილ სიღრმეებში რომ დგანან მანქანებთან.

ტოკავენ, ღმუიან, ქაქანებენ მანქანები და ოფლად გაღვარული მომუშავეთა დაძარღული ხელები არ შორდებიან უბრალო მოძრაობასაც კი.

აი ისინი: რომლებიც მუშაობენ გულმოდგინეთ; მოაგორებენ ბორბლებს, მოაქვთ მანქანების ნაწილები, მილები, სოლები, ხრახნები, ზამბარები, ღერძები.

აი ისიც:—გობრონ ხეთაგური, რომელიც სდგას მათ შორის და უხარია, რომ იზრდება ენტუზიასტთა რიგები. უხარია, რომ ისევ მათთან მუშაობს, უხარია, რომ ისინი —ენტუზიასტები—მასები — ლურჯხალთიანები—არიან ასე ხალისიანი, მოცინარი და ხვალინდელი დღის იმედით თვალებ აგზნებული.

— არჩილ! მე ასე ვფიქრობ, საქმე ის კი არის, რომ იცოდე განსაკუთრებულ კვარტალში რა უნდა გაკეთდეს,არამედ საჭიროა იცოდე, რამდენად შეგიძლია მას გადააჭარბო!

ამბობს გობრონ ხეთაგური.

ცხრა წელიწადი მუშაობს აქ გობრონ ხეთაგური. ცხრა წელიწადი სუნთქავს ქარხნის ჰაერს და ისმენს მანქანების თავისებურ სიმფონიას.

ცხრა წელიწადი დასტრიალებს ის ამ საყვარელ მანქანებს და უვლის, სწმენდს, ზეთავს, აგუგუნებს.

ხრახნილის დავარდნა რა არის და ის საამქროს ბოლოში რომ იყოს ხრახნილის დავარდნისას, იგრძნობს საამქროს თავისებური რიტმის დარღვევას.

იუკურებ და მისი მამაცი, ბრწყინვალე თვალები გარწმუნებენ ამოუწურობ ენტუზიაზმში.

მე თითონ ვარ მათთან, რომლებიც წუთსაც არ აცდენენ და დაუღალავად მუშაობენ ტემპისათვის, ხუთწლედისთვის.

მე თითონ ვხედავ მოთხრობის გმირებს და ყველა იმათ, რომლებიც მათთან, მათ ირგვლივ არიან და მუშაობენ.

დღეები... დღეები...

რის დღეები..: რის თვეები...

ყოველთვის, ყოველგან: ვიწრო ბოლჩამოშლილ საამქროებში თუ კორპუსებში, დაზგებთან, მანქანებთან იზრდება რიცხვი დამკვრელ ენტუზიასტთა.

მაგრამ მაინც.

ცრუ დამკვრელები, გამცდენნი, ალკოჰოლისტები მაინც არიან, მაინც მოიპოვებიან.

აი, ერთი მათგანი კირიონ ქვემოკლიძე.

შუბლი ვიწრო, თმაჩამოწეწილი.

მისთვის ისევ უჩვეულოა ეს მანქანები, ქარხნის შავ. შენობებში ყოფნა, საამქროები მექანიკური, ჩამომსხმელი...

მისთვის უინტერესოა მანქანების ქმნილა, გუგუნი და ენტუზიასტთა მუშაობა.

მაგრამ არ დაუდგება წინ ენტუზიასტთა რკინის ნებისყოფას, გაუტეხავ გულს და დღეს, ეს სტრიქონები იყოს მოთხრობი ენტუზიასტთა ბრძოლების, საამქროების და კორპუსების შესახებ.



ლენინგრადის ქარხანაში რიონჰესისთვის ახალ ტურბინას მონტაჟს უკეთებენ

## შენ ჩამორჩი!

ბართლომე ხარაბაძე—ძველი მუშა დგას თავის დაზგასთან და ისევ ნელა, ისევ დინჯად, ისევ მოფიქრებით მუშაობს.

რაჟდენ კაგამეროვი—საამქროს ოსტატი ნელა უახლოვდება ხარაბაძეს. ხედავს ქვემოკლიძის დაზგა უქმად, რომ სდგას და ეკითხება.

— კიდევ არ მოსულა?! კიდევ იგვიანებს?!

— როგორც ხედავ!—პასუხობს ბართლომე!

— სათაკილოა პირდაპირ!—წაილაპარაკა რაჟდენმა თავისთვის—ბოლოს და ბოლოს სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?!

ბართლომეს ხმა არ ამოუღია.

გაჩუმდა.

— ხვალ, კრებაზე ვილაპარაკებთ მასზე —განაგრძობდა რაჟდენი—და ყველა იმათ შესახებაც, რომლებმაც ქარხანა გარღვევამდე მიიყვანეს!

— გარღვევა?!—გაიკვირვა ბართლომემ!

— დიახ, გარღვევამდე მიიყვანეს და ამიტომ იმათ შესაფერისი პასუხი უნდა აგონ!

ხარაბაძე ფიქრებმა შებოჭა.

კაგამეროვმა საუბარი თითონ ხარაბაძეზე გადაიტანა და ნელა, დაყვავებით უთხრა...

— პირადათ შენგან ერთი რამ ძალიან მაკვირვებს?!!

ხარაბაძეს სახე დაეღმიჭა მოულოდნელი სიტყვების მოსმენისაგან და ნელა წაიბუბუნა...

— მე?! მე რა?!

— ის, რომ არ იქცევი ისე, როგორც გეკუთვნის! შენ ძველი მუშა ხარ!

— მე?! მე რა?! როგორ უნდა მოვიქცე?!

— ისე, როგორც სხვები: ისე, როგორც შენი ამხანაგები?

— კი მაგრამ მე?! მე, რა დამნაშავე ვარ?!

— შენ პირველი დამკვრელი უნდა იყო! შენ საჩვენებელი ბრიგადა უნდა გყავდეს! შენ კი სდუმხარ ჩემო ბართლომე, შენ კი თავსაც არ იწუხებ!

ხარაბაძემ ჩაქინდრა თავი.

— შენ ძველი მუშა ხარ და მუშათა საქმის შესრულებაში პირველი უნდა იყო!

ხარაბაძემ იგრძნო დანაშაული თავისი საქციელის გამო და ჩაფიქრდა.

— შენ ჩამორჩი! შენ ჩამორჩი, მაგრამ მე მგონია ამას გამოასწორებს, შენ ჩვენთან უნდა იყო! შენ მოწინავე მუშებთან უნდა იყო!

უთხრა ასე და კაგამეროვი საამქროს ბოლჩამოშლილ სიღრმეებისკენ წავიდა, სადაც ზუზუნებდნენ, ქაქანებდნენ, ტოკავდნენ გაცოფებული მანქანები და ზანზარებდა მექანიკური ქარხნის კორპუსები.

„შენ ჩამორჩი“.

მძიმედ დააწვა ეს სიტყვა ხარაბაძეს და მკერდ ქვეშ რაღაცამ გაჰკრა. გაკაწრა.

„შენ ჩამორჩი“.

ყველაზე მტკივან ადგილას მოხვდა ეს სიტყვები და ფიქრების ნისლში გაეხვია.

## მოგეხსენებათ, ვერ მოვასწარი

კაგამეროვს კარებთან კირიონი შეეჩეხა.

მას თვალები საშინლად დაწითლოდა და სახეზე ფითრისფერი დაჰკროდა.

კაგამეროვის შეხვედრაზე კირიონს ტანთ ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ თავი შეიმაგრა და თვალები თვალებს გაუსწორა.

— რად დაიგვიანე?!—ჰკითხა კაგამეროვმა.

— მოგეხსენებათ ავათმყოფი მყავდა...

— დიახ! ვერ მოვასწარი... ბავშვისთვის ექიმი გამოვიწერე!

— სცრუობ!—მიაძახა გობრონმა, რომელიც იქვე მუშაობდა—ალიონზე ექიმს ვინ გამოგიწერიდა! შენ სცრუობ!

კირიონი გაჩუმდა. დაიბნა. სახე აელეწა. წუთით რა ეთქვა არ იცოდა, მაგრამ გამოსავალი მაინც იპოვა...

— რას მაწყვეტინებთ... დამათავებინე... მოგეხსენებათ, რომ გამოწერა რადგან არ შეიძლებოდა მე თითონ გამოუძახე და რასა კვირველია ვერ მოვასწარი...

— ესეც სიცრუეა!

— სიცრუე რასა ჰქვია?!—აყვირდა კირიონი.

— იმას, რომ ტყუილს ამბობ! ბავში აქ არ გყავს. ცოლშვილი ერთი კვირის წინ სოფლად არ გააგზავნე?!

ამ სიტყვებზე ის მოიკუნტა, მოიკაკვა. ხმა ვერ ამოიღო.

დამფრთხალი თვალებით შეხედა კაგამეროვს და მერე ისევ დახარა.

— სოფლად... კვირის წინ...

წაიბუტბუტა თავისთვის და გაჩუმდა.

კაგამეროვმა, რომ ნახა კირიონი მობუზული იდგა, ენას არ ძრავდა ნელა უთხრა.

— ასე არ ივარგებს! ეხლა-კი წადი იმუშავე. ამაზე კი შემდეგ მოვილაპარაკებთ!

კირიონმა მურიანი თვალებით შეხედა გობრონ ხეთაგურს, სიბრაზე გულში ჩაიხვია და დაზგებისაკენ ნელა წავიდა.

საამქრო მუშაობს.

შრიალებენ ღვედები.

შემოსასვლელ კარებთან ცივად წევს მთავარ სამანქანო ნაწილიდან გამოტიხრული კედლებით გამოყვანილი სართქლე მილი.

გარეთ: მზის ოქროსფერ სხივებში ყვავის დღე და ქარხნის გამურულ სარკმლებს ადგება მზე მწველი, ცხოველმყოფელი, სხივნაყარი.

## ვსტეხთ განგაშს!

დასვენებისას კაგამეროვი და გობრონი ქარხკომის პატარა ოთახში შევიდნენ. ქარხკომის წევრები ამბობდენ გეგმის ჩაშლის საშიშროებაზე.

ქარხანა გარღვევის წინ სდგას!—ამბობდა კაგამეროვიც—მე მგონია ზოგიერთ ბრიგადებს მოუხდება ცოტა მეტის გაკეთება.

— აი, ჩემი ბრიგადა—დაიწყო გობრონმა—საათს, ორ საათსაც მეტს იმუშავებს! ვიძლევი ამისი პირობას! მეორე ბრიგადასაც ბუქსირზე ავიყვანთ!

გობრონს მოსვენებას არ აძლევს ციფრები, დიაგრამები, სამკუთხედები, კუბიკები ფერადი ფანქრით ამოხატული, რომელიც მაჩვენებელია პროდუქციის ზრდის და თვითღირებულების შემცირების.

— ჩამორჩება ქარხანა თუ ასე გაგრძელდა!

ეს აზრი ღრღნის გულს.

ეს აზრი იზრდება, სივდება და აწვება გულს სულშესახუთად.

დახედავს გობრონი დიაგრამებს და აწვალებს ათასი ფიქრები.

— უთუოდ მოხდება გარღვევა! უთუოდ!

ოდნავ შეირხევიან ბაგეები. გულს ბრაზი მოაწვება და დიაგრამებს კისერ წაგრძელებით ჩააკვირდება, მაგრამ დიაგრამეაი ახალს მაინც არაფერს ამბობენ.

გობრონი ადგა და ფანჯარასთან მივიდა. რამოდენიმეჯერ გადაისობს თავზე ხელს. მობრუნდება. დააჩერდება დიაგრამებს, ციფრებს და ისევ სარკმელთან მივა.

იქიდან ღია სარკმელიდან მოჩანს ეზოში გამოსული ლურჯხალათიანები და საამქროები ბოლჩამოშლილი, გაკვამლული.

დიდხანს იდგა გობრონი ჩუმად. მერე მობრუნდა ისევ და კაგამეროვს უთხრა.

— ვსტეხთ განგაშს! საუკეთესო მუშები დამკვრელად გამოვლეთ!

— ვსტეხთ განგაშს! ვსტეხთ განგაშს!

ათრთოლდენ ბაგეები.

თვალებს შორდება ბინდი და ბურუსი.

თვალები იგზნებიან. ინთებიან.

თითონაც თითქოს ანთებულია. თავს მსუბუქად გრძნობს და დაღლილობაც სადღაც გაჰქრა.

— ქარხანა არ ჩამორჩება! შავ დაფაზე არ მოხდება!

— კარგია!—დაუდასტურა კაგამეროვმა და ქარხკომის წევრებმა.—დროა ბოლო მოეღოს კუდში მაჩანჩალობას.

სულ შესახუთი, ნისლიანი ფიქრები გამარჯვების ალტაცებამ შთანთქა და ბაგეებმა ჩაიდუდუნეს...

— ვსტეხთ განგაშს! ვსტეხთ განგაშს!

## ის, ვინც თავისას არ იშლის!

— შაბაშ!

საამქროებმა დაამთავრეს სამუშაო დღე. შეწყდა მანქანების გუგუნი.

შეწყდა მკვეთარების ცივი წივილი.

საამქროებიდან, კორპუსებიდან გამოდიან ლურჯხალათიანები ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად.

მიდიან ქარხნების შავ კედლებში და ოხუნჯობენ, იცინიან.

— შაბაშ!

საამქროებში დგება სიჩუმე და მექანიკური ქარხნის შებოლილ სარკმლებს ანათებს ჩამავალი მზის მოწითანო სხივები.

— ბართლომე...

გადასძახა საამქროს თავიდან კირიონმა და იქიდან მანქანების სიღრმიდან გაისმის საპასუხო ხმა

— მოვდივარ!—და მანქანებში გამოჩნდება ზანტად მიმავალი ხარაბაძე.

კირიონის თვალებიდან ისევ ზიზღი და შური გამოკრთოდა.

ხარაბაძე გრძნობდა ამას კირიონის მოქმედებიდან, მაგრამ მუდამ სიჩუმით უპასუხებდა. ხარაბაძე რაც უფრო აკვირდებოდა უკანასკნელ ამბებს, მით უფრო გრძნობდა თავს ამ ამბებიდან გამოცალკავებულად.

—შენ საჩვენებელი ბრიგადა უნდა გყავდეს! შენ ჩამორჩი!

ასე უთხრა კაგამეროვმა მას და ყველგან: ქარხანაში, მანქანასთან, დაზგასთან, გუგუნში, ხმაურში სადაც არ უნდა იყოს—ყველგან ახსენდება ეს სიტყვები და რაღაც მოუსვენრობა სინიდისის ქენჯნა ეუფლება მას. მაგრამ ჯერ კიდევ მაინც სავსებით ვერ დაეპყრო ამ გრძნობებს, ამ აზრებს.

— ხედავ! მოსვენებას არ გვაძლევს, ისევ კრებაზე, ისევ თათბირზე უნდა იარო! ჯანდაბას მაგათი თავი და მაგათი კრება!—წაილაპარაკა კირიონმა.

— კირიონ? შენ განგებ ჩადიხარ ასე! არ ღვევ დისციპლინას,

— მე ამითვალისწუნეს! კაგამეროვი და გობრონ ხეთაგური ჩემი მტრები არიან!

— ტყუილია! შენ მხოლოდ ჯიბეზე ფიქრობ და წარმოება სულაც არ გაინტერესებს!

— მერე რა?!

— ის, რომ წარმოების მტერი ჩვენი მტერიცაა!

კირიონმა ხმაც არ გასცა ხარაბაძეს და მაშინათვე ჩამოშორდა.

ხარაბაძე ერთხანს უყურებდა კირიონის მიმავალ ზურგს და გაიფიქრა...

— ის მაინც თავისას, არ იშლის.... ვნახოთ!

## შავ დაფაზე

კრება ქარხნის დიდ დარბაზში გაიხსნა.

თანჯრიდან ანათებდა ჩამავალი მზის მოწითანო სხივები.

სხივები არ იყო მწველი. ცხოველმყოფელი, არამედ პაპიროზის ლილისფერ ბოლში აბრეშუმის ძაფებივით გაზიდული.

სხივები ეცემოდა მაგიდაზე და მაგიდის ირგვლივ იდგნენ ქარხკომის წევრები.

კირიონი შემოსასვლელ კარებთან გაჩერდა მოღუშული სახით და თვალს ვერ აშორებდა გობრონ ხეთაგურს.

გობრონი ლაპარაკობდა ქარხნის დღევანდელ მდგომარეობაზე, ლაპარაკობდა გამქცევებზე, წამგლეჯებზე, მავნებლებზე. ხუთწლედზე, დამკვრელებზე...

მისი სიტყვა იყო უბრალო და ამხანაგური. მტკიცე და დამაჯერებელი.

კირიონი უდიდეს სულიერ ალრევას განიცდიდა. სუნთქავდა სულშესახუთად.

ვერ ახერხებდა ერთ ადგილას გაჩერებას, მოსვენებას.

იყო მშფოთვარე, მოუსვენარი, ნერვიული.

იქნებ იმიტომ, რომ არ მოელოდა ასე საჯაროდ თუ იტყოდენ მასზე, როგორც გამცდენზე.

აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და ძაგარივით მაგარ თმებზე ისობდა ხელებს.

ის ეხლა ისეა ბრაზისაგან გაბრუებული, ბრაზმორეული, რომ სიტყვებს ვერ არჩევს, ბნელ სიღრმიდან წამოსულ ყრუ დუდუნივით ესმის და გაყუჩებულ ჩურჩულში წაიბუბუნებს...

— გამქცევი... გამცდენი...

გობრონ ხეთაგური კი ისევ დინჯად და დამაჯერებლად ამბობს სიტყვას. მუშები გულმოდგინედ უსმენენ.

— ჩამომსხმელი ცეხი სამარცხვინოდ ჩამორჩა! საერთოდ ქარხანა გეგმას ვერ ასრულებს. დროა ძმებო გამოვფხიზლდეთ, დავრაზმოთ ძალები გეგმის საუკეთესოდ შესრულებისათვის! ყველა დამკვრელ ბრიგადებში, ყველა დამკვრელ ტემპებში სულით და გულით!

კირიონი იდგა ჩუმად და ხმას არიღებდა.

— მომეცი სიტყვა!—გაისმა მარცხენა მხრიდან.

კირიონმა ხმა იცნო. მიიხედა.

აი ის: კაცი მეტად პატიოსანი, ძველი მუშა ამხანაგი ბართლომე ხარაბაძე.

აი ის: რომელმაც იგრძნო დანაშაული, რომელმაც დაჰგმო ძველი გზა და გრძნობების შინაგან მოზღვავებით, ენტუზიასტთა უჩვეულო ალტაცებით სავსემ, გულწრფელად მოინდომა მათ რიგებში ჩადგომა.

აი, მისი სიტყვის ბოლო ნაწილი...

— მე თავიდანვე მაფიქრებდა ის გარემოება, რომ რატომღაც სხვებივით არ ვმუშაობდი (რეპლიკა:—თუ თავს არ იწუხებდი!) შეიძლება ამხანაგებო ასეც იყო, მაგრამ ეს ჩემი დანაშაულია და მე ამ დანაშაულს მით გამოვისყიდი, თუ ვიმუშავებ ისე, როგორც თქვენ და აი, მე ჩემ თავს ამ სამ ამხანაგებთან (ასეხელებს ჯალიევს, გრიგორიანს და ბახტაძეს) ვაცხადებ დამკვრელად!

— დამკვრელი!..

ნელა წაიბუტბუტა კირიონმა და რა ნახა ყველას სახე კმაყოფილებით ულიმოდა, ბართლომეს ტაშს უკრავდენ, რაღაცამ მკერდ ქვევით ცივად გაისრიალა, აემღვრა თვალები და წაილაპარაკა.

— ცრუობს.. ეს მისი მანევრია!

ბართლომეს ყვილაზე უფრო მტკივან ადგილზე მოხვდა ეს სიტყვები.

გაშრა, გაშეშდა.

— სირცხვილი... სირცხვილი პროვოკაციას, რომ ეწევი!—ნელა წაილაპარაკა მან—მე ვსთქვი და ამ ხალხის წინაშე ფიცსაც ვსდებ, რომ შენსავით არ ვითაღლითო და ვიმუშაო ისე, როგორც ესენი მუშაობენ!

— და შენ კი... კუთხიდან, რომ იძახი მანევრიაო, რას ფიქრობ—აცეცხლდა გობრონ ხეთაგური—ცუღლუტობ, აცდენ, სანამ გინდა, რომ ასე იყო!

— შენ ვინ გკითხავს ლაწირაკო!—შეუყვირა კირიონმა!

— რას ჰქვია ლაწირაკი?! ეს რა მომართვაა!

აჩოჩქოლდა კრება.

— რა ამბავია!

— რა იყო?!

კირიონის მოქმედებამ ზიზღი გამოიწვია მხოლოდ.

იგრძნო თითონ კირიონმაც ეს, მაგრამ გაჩუმდა, მოიკუნტა.

სთქვას რამე?!

რა საჭიროა მისი სიტყვები, ისედაც სჩანს რა კაცია. რისი მაქნისია. რა საჭიროა კიდევ თავის მართლება!

— სთქვას რამე?!

სასაცილოა პირდაპირ!

რა აქვს სათქმელი?!

განა საჭიროა ისევ თავი მოიკატუნოს!

სულაც არ მინდა ეს სტრიქონები მასზე იწერებოდეს, მაგრამ არ შემიძლია გვერდი ავუქციო მას, რაც თვალწინ ხდება.

მე თითონ ვხედავ ყველა იმათ, რომლებიც ეხლა აქ არიან და ქარხნის საჭირბოროტო საქმეზე მსჯელობენ.

მე თითონ ვხედავ კირიონ ქვემოკლიძეს მხრებ მობუზული, რომ სდგას კარებთან...

კაგამეროვმა ხალხი წუთით გააჩუმა და კირიონ ქვემოკლიძე, ჩამომსხმელ ცეხიდან, პეტკა შჩუკინი და არშაკ ვირუმიანცი შავ დაფაზე წარადგინა.

კრებამ ერთხმად დაადასტურა ეს და უკანასკნელი გაფრთხილებაც მისცა მათ.

კირიონს ხმა არ ამოუღია. გაჩუმდა. გაშრა. სახეზე ფითრისფერი დაჰკრა. ეტყობოდა ბრაზში იხრჩობოდა.

— შავ დაფაზე!!!

ნელა წაიბუტბუტა და კედლების ჩრდილში შეაფარა თავი, რომ არ დაენახათ.

კრებამ ერთხმად დაადასტურა ეს და გეგმას წარმატებისათვის.

**არ. ჩაჩიბაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოების მზე

აი მოვიდა დღე არჩევნების
და გვიმკაცრდება როგორც ბრძანება.—
ჩვენც მეგობრებო,
            მხედრულ ჩვევებით
საბჭოებისთვის გვინდა მზადება
ვხედავთ ეს ყოფა უკვე მწვავდება;
მტერი ყოველმხრივ ბრძოლაზე მოდის...
ისევ
რიგებში ძმებო სწორება
და მოქმედება გაშლილი ფრონტით.
მტერი არ არის მშვიდი ობობა,
მას სიფხიზლე აქვს მშიერი მხეცის...
დღეს აველურებს თუნდაც ბობოლას
კოლექტივების მთლიანი ღერძი.
დღეს ქალაქშიაც სუნთქვას აღვივებს
დაკნინებული ბურჟუა წვრილი.—
იგიც იშორებს თითქოს აღვირებს
მტრების ბანაკში შეტანილ წვლილით.
ვხედავთ ეძებენ მტრები მეგობრებს,
მაინც სურვილებს ზრდიან გზადა გზა:
რომ საბჭოებში გაძვრენ როგორმე;
რომ საბჭოების ძარღვი გადასჭრან.
აბა დიქტატურავ ეხლა გამოგვადექ,
ბევრჯერ ამ ხალხისთვის მარცხი ხომ მიგიკრავს.—
დროა საბოლოოდ ყველა გადაგვარდეს,
რომ მზე კომუნიზმის ზარდოს რესპუბლიკაშ.
აბა დიქტატურავ,
        ბრძოლას ნუ დავიშლით,
გახდეს სატიალოთ ყველა ვიგინდარა.—
თვით ეს არჩევნები იყოს იერიში,
როგორც გასროლილი ცეცხლი და ყუმბარა.
ვხედავ უახლოეს დღეთა გამარჯვებებს,
ზოგმა ჩვენებიდან გვერდი აუქცია...—
ბრძოლა „მემარცხენეს" .
ბრძოლა მემარჯვენეს.
გზა ვეკაპესი და
            წინ რეკონსტრუქცია.
გაყვეს ბრძოლაში ქალაქს სოფელი,
მისცეს გმირობა სოფელს ქალაქმა.—
დე, არჩევნებში ყველა მშრომელი
საბჭოებისთვის დადგეს ქადაგად.
საბჭოების მზე შრომის გმირია,
მოაქვს სითბო და აზრი ცხოველი.—
საბჭოების მზე ჩვენი გულია
და შინაარსი ჩვენი ცხოვრების.
და მაშ დიქტატურავ,
        ბრძოლას ნუ დავიშლით,
გახდეს სატიალოდ ყველა ვიგინდარა.
თვით ეს არჩევნები იყოს იერიში,
როგორც გასროლილი ცეცხლი და ყუმბარა.

**გიორგი კაჭახიძე.**



სატრაქტორო ქარხნის „წითელი პუტილოვეცი"-ს ახალი გიგანტური ცეხები



ახალი ბენზინის საწმენდი ქარხანა ბათომში



ბათომი — მუშათა უბნების ქუჩებში ბეტონს აგებენ



სოჭი — მთავარ სოც-დაზღვევის ახალი სანატორიუმი



პარკის საშრობი მანქანა

# საუბარი ფიქრებთან

## რომანიდან: „შეხვედრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღვრემილი გამოიყურება ურაველი და სანისლია...

იალალი რთვილს შეუტრუსავს...

დაბლა:

კლდის პირად ცეცხლი ანთია და ხის ძირი იტრუსება.

ტკაცუნებს წაბლის ხმელი ტოტები და ჰაერში ზანტად მიიკლაკნება ტყვიისფერი კვამლი.

ფართო ნამოძრზე თავჩაქინდრული ზის ბეგი ლადარია (წინად: ბეგლარ ძიგუა) და ბავშურ ოცნებას გაუტაცნია.

ისმის: სიპებზე გადმოვარდნილი ჩანჩქერის რაკრაკი.

წყალი ტინტრიშით გადარბის კლდიდან კლდეებზე და თითქო ვისმეს ესაუბრებაო, რაღაცას დუდუნებს, ხმამაღალი მაგრამ გაურკვეველი ხმაურობით.

ბეგი ოცნებაში გადაკარგულა...

ქარბად მოხეთქილ მზის სინათლეზე ცეცხლი მკრთალად გამოიყურება და წვერებ წამოზრდილი ლადარია ალმაცერად გადახედავს ხანდახან ცეცხლზე მიფიცხებული ჭუნტი სიმინდის ტაროებს.

ჩქარა წალიწადი გახდება რაც ბეგი და მისი ძმა ძიკი ტყეს შეეხიზნა. ერთი წელიწადია ძმებს უშიშრად ღამე არ გაუთევია, ტანგახდილს, ლოგინზე, არ სძინებია, წელზე იარაღი არ შემოუხსნია.

რა ხანია მოხუცი დედაც არ უნახავს ძმებს და სიტყვა რა არის სანუგეშებლად, თბილი სიტყვაც ვერ მიუწვდენია...

...გასულ გაზაფხულზე მოახერხა ბეგიმ ღასით სოფელში ჩაპარულიყო, ნახა მოხუცი დედა, სახარჯო გროშები დაუტოვა, იმედითა და ნუგეშით გული გაუვსო, მაგრამ... მას შემდეგ უკვე ექვსი თვე გავიდა და აღარც დახმარება, აღარც ნუგეში, არც სიტყვიერი ქომაგი და ამბის მიკითხვა...

მიქრიან დღეები, თვეები, წლებიც და...

ძმები ისევ ტყის ხიზანია, მთის სტუმარი, ჩრდილთაც დღე-ღამეთ შეუცვლია და ღამე კიდევ დღეთ...

ზაფხულში. ურიდიას ჯოგს აფარებს თავს ბეგი ლადარია... მათში იმალება მაგრამ...

ზამთარში?

ზამთარში, როცა ჯოგი ბარში გაირეკება და სამწყემსო კარვებში რომ მხეცები დაისადგურებს მაშინ... მაშინ სად ეძიოს ბინა გავარდნილებმა?!

ზის ბეგი ლადარია ცეცხლის პირას და ლადარში ჩაფიცხებულ ჭყინტი სიმინდის ტაროებს უთვალთვალებს, თანაც სამოქმედო გეგმას ითვალისწინებს.

— ჩქარა სიმინდსაც მოისტველებენ და შემდეგ? შემდეგ ჭყინტი სიმინდიც გაგვინატრდება...

იქვე მახლობლად ძიკის ნაბადი გაუფენია და ჯირკზე თავმიდებულს თოფით ხელში ჩასძინებია...

ჩასძინებია მაგრამ მოუსვენრობა ახლაც ეტყობა კურდღელსავით ძილზე დაჩვეულს...

— ტკაც, პ-ზ-უუუ!—უცებ ატკაცუნდა შემწვარი სიმინდის მარცვალი და...

— რა ამბავია? რა მოხ...—ხელის ფათურით წამოვარდა ძიკი ზეზე და თოფი მოიმარჯვა— თავდასხმა მეგონა— წაიდუდუნა თავისთვის ძიკიმ, როცა გონს მოვიდა და ლადარში ჩაფიცხებულ სიმინდის ტაროებს გადაედო.

— არაფერია... დაიძინე!—უგულოდ გაესაუბრა ბეგი უმცროს ძმას და ძიკიმაც გვერდი მოიხაცვლა, სასთუმალი შეისწორა და ისევ დაიძინა...

— „თავდასხმა"— მწარედ გაიღიმა ლადარიამ და ბრაზით მუგუზლებს შეუჩუჩხუნა. ძაღლური ცხოვრება და თავდასხმებზე ფიქრი... ნუ თუ ისეთ ბედდამწვარ დღეზე ვარ გაჩენილი, რომ მუდამ წვალებასა და კურდღელსავით გულფხიზლობაში უნდა ამომხდეს სული?! ნუ თუ ერთხელ მაინც არ გაიღიმებს ჩემი ბედის ვარსკვლავი (თუმცა... რის ბედი, რომელი ვარსკვლავი, ბედი აქ რა შუაშია?!) და პირმოცინარი თოხით ჩემს ამჟამად გაპარტახებულ ეზო-მიდამოს ვერ მივხედავ და ვერ უპატრონებ?.. ეჰ! ერთი ყანაში მუშაობით მაინც მომქანცა და, საღამოს, უდარდელად ჩემს ფაცხაში დამაძინა ისე როგორც ამ ერთი წლის წინად... მაშინ...

მაგრამ აღარ მგონია... აღარ მჯერა..— ბეგიმ სასოწარკვეთით ამოიოხრა და მძინარე ძიკის გადახედა.—საბრალო ძიკი!—ბეგი ისევ ფიქრებში გაეხვია... სიმინდის ტაროს ფუჩეჩი შემოაცალა და ცეცხლს მიუფიცხა.. ანთებულ წიფლის ჯირკს მიაშტერდა... გაცხუნდა, წამოჭარხალდა...

— „ჰოი, მირზახან! მამაჩემის მესაფლავევ და ჩვენო დამღუპველო!—ბეგის თვალწინ წამოუდგა ბოქაულ მირზახანის თავდასხმა ბეგის მამის, ნიკო ძიგუას ოჯახზე... ნიკოს შებრძოლება, გაქცევა და მისი ვერაგული სიკვდილი... ბეგის მოაგონდა, თუ როგორ აიკლეს ძიგუას ოჯახი, ნიკოს მოკვლის შემდეგ: სახლი რომ გაუყიდეს, სასიმინდე, უღლად ხარები, ცხენი და სხვა ოჯახის ალაფიც, ჩიქვანის ვალის დასაფარავად.

მაშინ ბეგი თვრამეტი წლის იყო... ამაყი... ამაყი, როგორც ყოველი მეგრელი და იშვიათი ძვალმაგარი... სისხლი მაჭარივით აუჩქეფდა ბეგლარ ძიგუას ოჯახის ასეთ დაწიოკებაზე, სოციალისტობაში შეწამებულ მამის უდროვო და ვერაგულ სიკვდილზე, პოლიციის თავხედობასა და ჯაშუშების უჩვეულო თარეშზე და...

— თავი რაღად მინდა ცოცხალი თუ... თუ—გაუმხილა მან თავისი განზრახვა უმცროს ძმას ძიკის და იარაღის აკვლევას შეუდგა.

— რას ამბობ!—გაიკვირვა ძიკიმ ბეგლარის განზრახვა.

— უნდა მოვკლათ...

— მოვკლათ... მაგრამ...—დაუდასტურა ყოყმანით ძიკიმ.

— მაგრამ კი არა, უნდა მოვკლათ მეთქი! ჯერ ერთი რომ მამაჩემის მკვლელია და მერეც ის, რომ დაუძინებელი მტერია იმ საქმის და მოძრაობის, რასაც მამაჩემმა სიცოცხლე შესწირა.—მოაგონდა ბეგი ლადარიას მირზახანის მკვლელობის წინ ძიკისთან თათბირი და მირზახანთან უკანასკნელი შეხვედრის ეპიზოდი:

ჩასაფრებული ძიკი და ბეგლარი სულგანაბული ელოდებიან მირზახანის შარაზე გამოვლას... საბოქაულოდან მიიღეს ცნობა ძმებმა, რომ მაზრიდან დაბრუნებული მირზახანი სწორედ ამ გზით გამოივლიდა. სოფლის ბოლოში არჩიეს ჩასაფრება...

მზე კარგა მაღლა წამოსულიყო და მინდვრებში ისმოდა მწყემსებისა და ყანებში ომიშიავე გლეხების სტვენა და კრიმანჭული.

ბოქაულმა დაიგვიანა.

— ვაი თუ მოვტყუვდით და...

ძმები მოუთმენლობამ აიტანა... საფარიდან სათითაოდ გამოდიან, შარას ხელმოფარებით ზვერავენ... იხედებიან... და..

ბოლოს:

ასრულდა მოლოდინი.

აგერ არაბულ იორღაზე გამოჩნდა მირზახანი...

ცხენი მოთამაშობს განიერ გზატკეცილზე, მედიდურად მოაპობს ჰაერს და განებივრებული მხედარის ხელით ლაგამმოზიდული კისერმილრეცით მოფრუტუნებს და უსწორო ნაბიჯებით მოთოხმახობს...

მირზახანი გადაკრულშია და თავი ირიბად უჭირავს იორღაზე.

ბეგლარი აინთო ბოქაულის დანახვაზე... წონასწორობა დაკარგა... დიდი ხნით დაგროვებული ბოღმისა და შურისძიების ცეცხლი გაღვივდა, სასწრაფოდ თოფი მოიმარჯვა, საფარი უკანასკნელად გასინჯა და ის იყო თვალის მოხუჭვას აპირებდა, რომ...

— „ჩუმად არ ვესვრი, სირცხვილია,— გაიფიქრა მან და მომარჯვებული ბერდანა დაბლა დახარა.—მამაჩემისაგან გამიგონია: მიპარებით მხეცსაც არ ესვრიან კარგი მონადირეები, თორემ მტერზე ქურდული თავდასხმა, აბა, რა ვაჟკაცის საკადრისიაო". ამიტომ...

— „მოდი შევუძახებ და"—დაასკვნა ბეგლარმა და მირზახანს თვალი გაუსწორა.

მოათოხმახებს იორღას მირზახანი, მოათოხმახებს და დაბალი ხმით სპარსულ ბაიათს მიღიღინებს.. თეთრი ყაბალახი თეთრი გრეხილით გადაუდგდია განიერ მხარ-ბეჭზე... ტანზე ულალი ჩოხა აცვია, ულალი სალვეთები და ასეთივე ფერის ფაფახი... მოვერცხლილ ქამარს ამძიმებს, ვერცხლისავე ზარნიშშემოვლებული ხანჯალი და საბოქაულო ლეკური... მარჯვნივ, ღია ბოლჩაში მოსჩანს ტარმოთეთილი მაუზერი (მაუზერი მაშინ იშვიათი იარაღი იყო, მაგრამ რუსეთიდან გამოქცეულ ტერორისტ გაგუას ჩამოეტანა სამეგრელოში პირველი მაუზერი, რაიცა აუსუნთქავი არ დარჩა მირზახანს, გაგუას ჯაშუშ მეზობლების წყალობით და ეს რამდენიმე დღეა, რაც მირზახანმა გაგუაც იმსხვერპლა და მისი მაუზერით წელი დაიმშვენა) და მეგრელ მეუსაგრის ხელით შეკერილი შიგრინის პატრინტაში.

მოდის მირზახანი, მიდის და მიღიღინებს.. ცა ქუდათ ხურავს გადაკრულ ბოქაულს და დედამიწაზე ფეხს არ აკარებს.. ზღვაში რომ შესტოპოს, ზღვა წელამდისაც არ შემოწვდება...

იორღა მოთოხმახობს ქაფმორეული და ოფლგადამსქდარი.

— თავი დაიცავ, მირზახანო, თუ ვაჟკაცი ხარ!—დასჭყივლა ბეგლარმა სათოფეზე მოახლოვებულ მირზახანს და მიზანში ამოუღებლივ ესროლა პირველი ყურშუმი, გაფრთხილების ნიშნად.

— რატომ გააფრთხილე?!—აკანკალდა ძიკი საცოდავად და თოფი ხელიდან გაუვარდა, თავზე ხელები მიიფარა და აკანკალებული მიწას დაესნატა.

— ლაჩარო!—წასჩურჩულა ბეგლარმა ძიკის და სახეშეცვლილ დამხმარეს მგლის თვალი უჩვენა.

მირზახანი შეკრთა... არაფერს მსგავს არ მოელოდა და დახეთ! შეტორტმანდა იორღაც და რაღაცნაირ უბედურების მოლოდინში ჭკვიანმა პირუტყვმა სასოწარკვეთით დაიფრუტუნა... ყურები დაცქვიტა და ზუსტი ყნოსვისთვის ნესტოები გააფართოვა.

მირზახანმა იორღას სადავე მოქაჩა, ხელი მაუზერზე გაიკრა და ის იყო გაფრენას აპირებდა მუხლმაგარი მერანით რომ...

— გავსწორდეთ მეთქი, მირზახანო, ტყვიით გავსწორდეთ...—კვლავ შესძახა ბეგლარმა მიოზახანს და ირგვლივ შიშის ზარი დააყენა.

მიოზახანი დაიბნა... ვერაფერი მოისაზრა.. დაღონდა... გული აუფართქალდა. შეჩ-

ქვეფდა გამოუცდელი ბეგლარიც... თითქო ხული აუკანკალდა... ბერდანას სახელური გადასხია და ის იყო თოფში მეორე ვაზნა მოიმარაგა, რომ გონს მოსულმა მირზახანმა გააწვიმა ტყვია მაუზერიდან.

ძიკი შიშისაგან სულ აკანკალდა, თავი მიწაში ჩარგო სირაქლემასავით და უეჭველი [illegible]ედურების მოლოდინში სუნთქვა შეიმოკლა...

— რა მიჭირდა ჩემთვის ვგდებულიყავ!— უსაყვედურებდა ძიკი საკუთარ თავს და სულგანაბული ადგილიდან არ იძვროდა.

— მშიშარავ!—კვლავ მოუბრუნდა ბეგლარი ძიკის და უმალ ამოიღო მიზანში მირზახანი.

იხუვლა ტყვიამ ხელმეორედ და მირზახანი უვნებლად გადარჩა... მიწყნარდა მინდვრებში ხმაურობა...

მწყემსებმა საქონელს ადგილი მოუნაცვლეს...

მირზახანი გამაგრდა... აცდენილ ტყვიას გაუთამამდა და გაბოროტებულმა ბოქაულმა, თანაც შექეიფებულმა მოპირდაპირეს არ დაერიდა და დარწმუნებულმა იმაში, რომ დამხვდური ერთი იყო და ისიც ცუდი მსროლელი, ფაფარზე მკერდით მისვლა მოინდომა... მირზახანმა ცხენს დეზი ჰკრა და მაუზერმომარჯვებულმა ცხენი საფარისაკენ აკუპა პირდაპირ...

ძიკი გონს მოვიდა... სიკვდილ-სიცოცხლის წუთები თვალწინ დაუდგა, ერთი წამით შიში გადაავიწყდა, ხელიდან გაგდებულ ბერდანას დასწვდა, გვერდზე მოიზიდა და ის იყო მირზახანი გაუსწორდა ბეგლარის საფარს რომ ძიკიმ უაზროდ სასხლეტს გამოჰკრა და აცდენილმა ტყვიამ ქუხილით გადაუარა სოფლის გორაკებს...

მირზახანი შედგა... ანგარიშში მოტყუვდა თავზე ხელაღებული ბოქაული.—„აქ ორი და შეიძლება მეტიც არიან“—გაიფიქრა მან და ის იყო საფარს დაუწყო თვალიერება, რომ ახლა ბეგლარის საფარიდან იგრიალა ტყვიამ მაგრამ...

ტყვია ახლაც აცდა მიზანს და...

მირზახანმაც იკადრა ცხენიდან გადმოხტომა...

ელვის სისწრაფით ცხენს მუცელქვეშ მოექცა ბოქაული და ის იყო თხრილში ჩასახტომად მოემზადა, საიდანაც კიდევ უფრო ადვილი იყო თავდაცვა და დამიზნებულ ტყვიების თავიდან აცდენა, მაგრამ ლეკური ფეხებში გაეხლართა ბოქაულს, შებრკოლდა, წაიფორხილა და სწორედ ამ დროს კიდევ იხუვლა ზუსტად მომიზნებულმა ტყვიამ ბეგლარის ბერდანიდან და გულგაგლეჯილი მირზახანი ბალახებში დაგორდა და მდინარის პირად დავაკებაზე ჯირკივით გაიშხლართა...

— აი, ალლაჰ!—აღმოხდა მირზახანს და მარჯვენა ფეხი გაასაფრავა...

სრულა მიწყნარდა...

დამფრთხალი იორღა ფრუტუნითა და ხვიხვინით აედევნა პატრონს გზა და გზა და მგლოვიარე სახით თავზე დაადგა...

იორღა ლონთქომო ბალახს წაეპოტინა, მაგრამ მიწას დაყნოსა თუ არა შიშით თვალები გადაფართოვდა, შეწუხდა, შეწრიალდა, ბალახის ბლუჯა პირიდან გააგდო და ლაგამის ძოლნით მირზახანს გარშემო შემოუარა, სისხლი იყნოსა და შეძრწუნებულმა ხვიხვინს უმატა.

იორღა დადგა მირზახანის მახლობლად, შემსუბუქებული წელმოჭრითულობა შეიბერტყა და ააულარუნა, რამდენჯერმე დაყნოსა შეჩვეულ პატრონს, მიწას ტორი დაჰკრა, მისი მოძრაობაში მოყვანა სცადა მაგრამ როცა დარწმუნდა რომ მირზახანი ადგილიდან აღარ იძვროდა, რაღაც იგრძნო და აფრთუტუნებული შარას დააცვირდა.

— ჩაძაღლდა!—აღმოხდა ძიკის და საფარიდან ცალი თვალით გაიჭიტინა.

— შეიძლება თავს იმკვდარუნებს... ერთიც ვესროლოთ...—უპასუხა ბეგლარმა მაგრამ უკანასკნელმა ტყვიამ მხოლოდ იორღა შეაკრთო და შეატორტმანა...

მირზახანი ეგდო გაუნძრევლად და მკერდიდან სისხლის ნიაღვარი გადმოსდიოდა.

— ჩაძაღლდა...—დაემოწმა ახლა ბეგლარიც ძიკის და წასასვლელად მოემზადა. შარა ორივ მხარეს დაზვერა და ტყეს დააკვირდა...

— წავიდეთ,—მოუხედა ბეგლარმა ძიკის და საფარი წაასწორა...

— იარაღი?

— წავიდეთ-მეთქი!—უბრძანა ბეგლარმა უმცროს ძმას და ადგილიდან დაიძრა.

— მაუზერი აქვს, ბიჭო, გამოგვადგება... ყაბა და ლეკური ვერცხლით მოჭედილია.

— გზა გაიკვლიე! მძარცველი როდის ყოფილა პაპაჩემის შთამომავლობა, რომ დღეს შეიქნეს...

ძიკი დაჩუმდა, მაგრამ ცალი თვალი მოვერცხლილ ქამარ-ხანჯალსა და მაუზერზე დარჩა... რომ ბეგლარი არა, ტანზეც გახდიდა ძიკი მირზახანს, ქუდს გამოუცვლიდა...

— „გამოდგება-“ო, დაასკვნის ასეთ დროს ძიკი ყოველთვის და სამკაულებს ხარბად ეტანება მაგრამ...

— „ე, ბეგლარი რა გამიხდა?“—ფიქრობს ბრაზით გამწარებული ძიკი, თუმც რა გაეწყობა, ბეგლარს ვინ გაუძლებს ჯიუტობას და ამოჩემებაში...

— ტკაც!—ატკაცუნდა ჰყინტი სიმინდი და ახლა ბეგლარი შეკრთა ნიშანდობლივ ხმაურობაზე.

— ეეჰ!—ოდნავ გასაგონი ხმით ამოიოხრა ბეგიმ და შემწვარი სიმინდი მწვანე ფუჩეჩში გახვია გასაგრილებლად.

— სწორედ ეს დრო იყო, როგორ გამიძნელდა პირველად სასხლეტის გამოწევა, როგორ გამიცივდა თითები და გულმა ფართქალი დამიწყო, მაგრამ აი, იძრო მაუზერი მირზახანმა, ჩახმახი მოზიდა და წამოვიდა ტყვია სეტყვასავით... გული ბრაზით ამევსო. სისხლი ამითამაშდა და გაბოროტებულმა ისე ზუსტად გამოვუგზავნე უკანასკნელი ტყვია რომ...

— გათავდა...

— „ოჰ, როგორი სიამოვნება ვიგრძენი, საჩვენებელი თითის უკანასკნელი ამოძრავებით, როცა წკიპზე შემდგარი და მკერდზე მოზიდული ბერდანა აქუხდა მირზახანის მიმართულებით და გულგაგლეჯილი ბოქაული, მამაჩემის და რევოლიუციონურ მოძრაობის ეს საზიზღარი ჯალათი, რომ დაგორდა ალორთქილ ბალახებში. უჰ! საბრალო მამაჩემო! ნეტა გაგება მაინც შეეძლოს რომ... მაგრამ რაღა საჭიროა... ის ხომ...

— „მას შემდეგ რამდენი ტანჯვა გამოვიარე მე, საბრალო ძიკიმ და მთელმა საზოგადოებამ.. რა შუაში იყო მოხუცი ბექაია, ცულანია, და ან კიდევ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის სევე გვიჩია?!

მზე მაღლა წამოსულიყო...

— ჩხი, ჩხი, ჩხი!—არ ისვენებდა წიფლის ლენწეროზე ეშმაკი ფრინველი და ტოტიდან ტოტებზე ციყვივით დახტოდა.

— ქშშ!—აუქშია ბეგლარმა მოუსვენარ ფრინველს, როცა უკანასკნელმა თავი მოაბეზრა ჩიჩხინითა და ნაირი წაბაძვებით და ძიკიმ თვალები გამოახილა.

— ადექი, გეყოფა ძილი!—მოუბრუნდა ბეგი უმცროს ძმას და შემწვარი სიმინდი შესთავაზა ფუჩეჩში წაგრილებული და გამომშრალებული.

ძიკი წამოდგა... ცუდნად გაიზმორა, ძმას უხმოდ სიმინდი გამოართვა და ზარმაცად ღოღნა დაუწყო თვალებმდაგუდულმა და ნამძინარევზე გაბრუებულმა.

— ბეგი, მობეზრდა ასე ცხოვრება!—დაარღვია ძიკიმ მყუდროება.

— მოგბეზრდა? მეც მომბეზრდა... მაგრამ...

— რამე უნდა ვიფიქროთ ბეგი... მუდამ ტყესა და კარავში ხომ ვერ ვიცხოვრებთ?!. ზამთარი ახლოვდება და ახლა მაინც!

ბეგი ჩაფიქრდა....

უხეირო ფიქრებმა კი ხასიათი შეუცვალა და ისედაც დაღონებული [illegible] უფრო დაღონა და ააფორიაქა [illegible] გინდა.. მე მარტოდ დავრჩები—სთქვა ბოლოს ბეგიმ და წარბი უსწოროდ მოძრაობაში მოიყვანა... ძიკის ამრეზილად გადახედა და ცეცხლს გული მიუშვირა...

შემოდგომა ახლა იწყებოდა მაგრამ მთის კალთებზე, საყანეების გასათავში, უკვე საკმაოდ ციოდა, განსაკუთრებით უმზეო ადგილებში.

— მარტოდ?

— ჰო... ან რუსეთში მოვახერხებ როგორმე გაქცევას... მართლა და სირცხვილია, რომ აბრაგებსავით ტყე-ტყე დავეხეტებით და არსად არც ერთ ორგანიზაციასთან კავშირი ჯერაც არ გვაქვს გაბმული... ჩვენ ხომ აბრაგები არ ვართ.... ავანტიურისტები....

— მე,—გამოაზგა სიტყვა ძიკიმ და თავი ჩაღუნა...

— სთქვი... იქნებ წასვლა გინდა ძიკი?!.

— აღარ შემიძლია ასე ცხოვრება... რამე უნდა ვიღონოთ...

— თუ გინდა შეურიგდი მთავრობას... შენ ბრძოლის ბუნებაზე არაოდეს ყოფილხარ და...—წყენით მიუგო ბეგლარმა ძიკის და ღიღარი გამოჩხირიკა...

— შენ?!. წაილუღლუღა თავისთვის ძიკიმ ისე რომ თავი არ აუწევია... ბეგლარისათვის პირდაპირ არ შეუხედია.

— მე... როგორც გითხარი, ვეცდები რუსეთში წავიდე... ამხანაგები მოვძებნო...

— არა, ძიკი, შენ რუსეთში წამსვლელი არ ხარ, არც საერთოდ ბრძოლისა და გაჭირვების ატანი.. შენ უხერხემლო იყავ თავიდანვე და მე შევცდი როცა შენ აგიყოლე და შენს პირდაპირ გზას აგაცდინე... წადი... შეურიგდი ჩიჩიას და იცხოვრე თავისუფლად... შენ ხომ ასეთ ცხოვრებას, „ისეთი“ გირჩევნია...—ხაზგასმით აღნიშნა ბეგიმ სიტყვა „ისეთი“ და ძიკის გადახედა...

ძიკი იჯდა ნაპირზე, გაქვავებული და თავჩაქინდრული... ძიკი კარგა ხანია ებრძოდა თავისთავს... ფიქრობდა დაბრკოლებათა დაძლევას და გადალახვას მაგრამ...

— „აღარ შემიძლია“—ამბობდა ბოლოს გულამრეზილი ძიკი...

— როგორ წავიდე... მარტოდ... შენ?!

— ჩემზე თქვი. კარგა ხანია აღარ მინახავს თქო! სადღაც გაიქცა თქო! მე არ მეწყინება თუ შენ დაბრუნდები სოფლად... დედასაც მიხედავ და... ოჯახში, ფუტს არ გაალცივებ... სანამ...

— რა ბეგლარ?..—ასწია თავი მაღლა ძიკიმ და ძალზე გაუფერულდა.

— სანამ რაიმე ახალი მოხდებოდეს საერთაშორისო ცხოვრებაში და...

— მე არ დაგტოვებ ბეგლარ... მეც შენთან ვიქნები... ოღონდაც... ოღონდაც მით ხარი ჩქარა ვიქნებით გამარჯვებულნი?!

— ჩქარა?... არ ვიცი... შესაძლოა რამდენიმე წელიწადში, შეიძლება კი სულ ვერ მოვესწროთ ვერაფერს ისე ჩავკვდეთ სადმე ციხეებში მაგრამ... მომავალი ხომ მოესწრება... გამარჯვება უთუოდ ჩვენს მხარეზეა... მხოლოდ როდის... რამდენი ხნის შემდეგ... ძნელია ამის თქმა და წინასწარმეტყველება...

— მაშინ...—აილერლა ისევ ძიკი რომელსაც სოფლად დაბრუნება და მთავრობასთან შერიგება ერჩია ასეთ საეჭვო გამარჯვების მოლოდინს, მაგრამ ბეგლარისთვის ვერ გაემხილა...

— დაბრუნდი ძიკი, დაბრუნდი... შენი ადგილი სოფელია და მყუდრო ცხოვრება. შენ მებრძოლის ბუნება ჩამკვდარი გაქვს... ნებისყოფა მიდუნებული... დაბრუნდი.. გასწი!..

ძიკი სერიოზულ ფიქრებს მიეცა და ახლა ბეგიმ ჩასთვალიმა ძიკის მეთვალყურეობით...

**პალ. ჩხიკვაძე.**

# „უ გ უ ბ ზ ი ა რ ა“

უდაოა, რომ საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების ტემპი, ბევრად უფრო უკან რჩება ისტორიაში ჯერ არნახულ სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპებს; საზოგადოებრივი განვითარებისა და მასების ყოველდღიური საქმიანობის დონეს, ბრძოლა ჩამორჩენილობისა და დახშულ ზნეჩვეულებათა წინააღმდეგ, რომ წინ უსწრებს საბჭოთა კინემატოგრაფიის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებებს კულტურულ რევოლუციის ფრონტზე ბრძოლისაგან, და რომ საბჭოთა კინემატოგრაფია ჯერ კიდევ არ არის, არამც თუ გამეფებული, ოდნავ გამაგრებულიც კი, კინო პროდუქციის დიალექტიური მეთოდით დამუშავება და მოვლენათა მარქსისტული ხედვით ასახვა ეს უდაოა.



სახკინმრეწვის წარსული საქმიანობა ვერ დაიკვეხნის პირველ თუ მეორე ხარისხოვან კინო - ფილმებით. იმ საკმაო დიდი რაოდენობის კინოფილმებიდან, რამდენიმე სურათი თუ შერჩა ეკრანს, როგორც დამაკმაყოფილებელი, ან ერთეულ შემთხვევებში, სავსებით დამაკმაყოფილებელი, დანარჩენები ან ჩქარა იხსნებიან საერთოდ ეკრანიდან ან კიდევ სულ ვერ ნახულობენ საპროექციო ქვრიტიმალს...

ამხ. **დავ. რონდელის** პირველი გამოსვლა განირჩევა სხვა ახალგაზრდა და „დამსახურებულ“ რეჟისორების საქმიანობისაგან... მისი პირველი კინო ფილმი „უგუბზიარა“, რომელშიც, შეიძლება გადაჭრით ითქვას, პირველად არის ცდა სურათის დიალექტიური - მარქსისტული მეთოდით დამუშავებისა, სრული გამარჯვებით დასრულდა და მოვლენებს და ფაქტებს მიზეზობრივი კანონშეზომილების ხერხით ურთიერთ გადაჯაჭვამ გაანალდა სურათი მთლიანად ისეთ მჭლე მასალაზე, როგორც არის ექიმბაშობა სოფლად. (ამ შემთხვევაში აფხაზეთში).

სურათი იშლება აფხაზეთის ფონზე...

ექიმბაში ჯოტო ყოველ ღონეს ხმარობს ტყავი გააძროს მშრომელ გლეხობას; ის წინააღმდეგია სოფელში სავადმყოფოს აშენების, მაგრამ, როცა კომკავშირის ინიციატივით გადაწყდება აშენდეს საავადმყოფო, რისთვისაც მოწყობილ იქნა დოღი სოფელში, ჯოტო დარწმუნებულია, რომ თავის იორღათი 1-ლ ჯილდოს მიიღებს დოღზე, გამოდის შეჯიბრზე. მაგრამ პირველობას აიღებს კომკავშირელი, მეორე ჯილდოს კი ექიმბაში ჯოტო. კომკავშირელი სწირავს ჯილდოს საავადმყოფოს ასაგებ ფონდში, ჯოტოც იძულებულია შესწიროს თავის ჯილდო საავადმყოფოს... შენდება საავადმყოფო, მაგრამ ჯოტო დისკრედიტიზაციის მიზნით მოჰკვლავ ავადმყოფებს გზავნის საა-





სხვადასხვა მომენტები „უგუბზიარა“-დან

ვადმყოფოში, როცა ხედავს, რომ მისი ექიმბაშობა ვერაფერს გახდება მომაკვდავთან...

ხალხი უკმაყოფილოა ექიმის და საერთოდ მედიცინის, მაგრამ ერთ დღეს, ქელეხობაზე, ძველი აფხაზური ჩვეულების სამგლოვიარო რიტუალის დროს გაჭენებული ცხენიდან ჩამოვარდება და საკუთარ ხანჯალს წამოეგება ჯოტოს ერთად - ერთი შვილი...

ჯოტო ცდილობს შვილის მკურნალობას, მაგრამ დაჟანგული ხელსაწყოთი ვერ ბედავს ოპერაციის გაკეთებას... ვერც სისხლს უწყვეტს დაჭრილ შვილს... ჯოტო შეკრთება მაგრამ შვილის საავადმყოფოში წაყვანას მაინც არ თანხმდება. საქმეში ჩაერევა ჯოტოს მეუღლე, დაჭრილს წაიყვანენ საავადმყოფოში და მოსწრებულ ოპერაციის შემდეგ დაჭრილი განიკურნება...

ჯოტო თვითონ მიდის ექიმბაშობის უკუგდების შეგნებამდი, მაგრამ ეს არ არის ტრაფარეტულად მოცემული ამბავი, აქ არ არის შაბლონური კინემატოგრაფიული ტრიუკები, აქ როგორც ზევით ვთქვით მოვლენეთა მიზეზობრივი გადაჯაჭვით, ნივთების და საგნების მოძრაობაში და დინამიურობაში ჩვენებით დამაჯერებლად არის მიცემული ექიმბაშობის საზიზღელი განმანადგურებელი მხარეები ერთის მხრივ და ამავე დროს დამაჯერებელი ფაქტები და მოვლენათა დიალექტიური ასახვით გაშიშვლებულია ექიმბაშობა, და თვითონ ექიმბაშიც კი მიდის იმ დასკვნამდი, რომ ის საზოგადოებრივად მავნე ელემენტია, როგორც ექიმბაში...

ხალხიც რწმუნდება მედიცინისა და ექიმების უპირატესობაში...

„უგუბზიარა“ მხატვრულადაც სათანადო სიმაღლეზე დგას. კარგია დოლის სცენები, აგრეთვე კადრები მეხუთე-მეექვსე ნაწილიდან, სადაც რადიო და ქელეხია დაპირდაპირებული და სხვა ეპიზოდები.

სამწუხაროა, რომ სურათში ნაკლებად არის გამოყენებული აფხაზეთის მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა... იშვიათი ბუნება და პეიზაჟები, რასაც ზომიერად შერჩეულ სურათს მეტ ხალისს და ინტერესს შემატებდა. მიუხედავად ამისა სურათი შეუნელებელი ინტერესით მიდის მაყურებლის თვალწინ და სრულ დამაჯერებლობით ითვისებს სურათის როგორც ცალკე ეპიზოდებს, ისე სურათს მთლიანად. „უგუბზიარა“ დროულია სოფლის ეკრანისათვის, ის სათანადოთ მიიზიდავს ფართო გლეხურ მასებს განსაკუთრებით აფხაზეთის, აჭარისტანის, სვანეთის და სხვ. კუთხეების მცხოვრებლებს, სადაც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი არიან ექიმბაშები.

**მენგო.**





**სხვადასხვა მომენტები „უგუბზიარა“-დან**

# ჩვენ მტრებს

ენით მორჩილით,
კარგად მოქნილით
ამბიონიდან კაცებს და ქალებს
ასე უბამდა ხუცესი თვალებს:
—„უწინდელ“ დროსა, „მას ჟამსა შინა“,
ვინ არ ცხოვრობდა კარგად მაშინა;
დღეს?.. ბედნიერი ვილაა ჩვენში?
ჩავცვივდით ყველა ამ შავ-ბნელ დღეში!..“
აქ კი ხუცესმა მოიხსნა პირი,
იმგძელა ენა, უშვა აღვირი
და იწყო სრულად
თავაშვებულად
საბჭოთ უფლების ლანძღვა-გინება
და წარსულისა ქება-დიდება,
იმ წარსულისა,
ავად თქმულისა,
როდესაც მუშა ხალხი გმინავდა
და ბატონებს კი ტკბილად სძინავდა.

—:—

კულაკი სოფლის ერთ დიდ კრებაზე
(ეტყობ, ვერ იყო კარგა გუნებაზე)
მაღლა გაჰკივის,
ბედსა უჩივის:
—„ჰხედავთ, რა გვიყვეს ბოლშევიკებმა,
ამ ყაჩაღებმა, ავაზაკებმა?
არ შეგვარჩინეს სარჩო-საბადი,
ზურგზე აგვკიდეს გუდა-ნაბადი“...
კიდევ ბევრს ამგვარს სხვასაც მოსთქვამდა
და მაგარ სიტყვებს არა ჰზოგავდა.
და ეს კულაკი,
თვით ავაზაკი,
დღემდინ რომ ღარიბ ხალხსა სძარცვავდა,
არვის ინდობდა, არვის ზოგავდა,
ახლა რომ არის ხელ-ფეხ შეკრული
და არის მიტომ გაბრაზებული,
არ ერიდება ლანძღვა-გინებას,
ჰგმობს საბჭოების ხელისუფლებას.
ტყუილად ცდილობს. ნუ აქვს იმედი,
გადაჭრილია მისი სვე-ბედი.
არ აპატიებს ხალხი ძველ ვალებს:
ტანჯული მტანჯველს არ შეიბრალებს.

—:—

ასე, ამგვარად,
მწყობრ-თანაბარად,
კულაკი, მღვდელი და ყველა მტერი—
წარსულს აქებენ, აწმყოსა ჰგმობენ.
მაგრამა მგლებსა ცხვრის ტყავშიც სცნობენ,
და თქვენცა, ჩემო მოყვას-მოძმენო,
მტკიცედ იდექით იმ სწორე გზაზე,
რომელს გირჩევენ წრფელ მეგობრები,
ჩვენი წიგნები და გაზეთები.
იქ წაიკითხავთ ნამდვილ სიმართლეს,
იქვე გაიგებთ მტრების სიმუხთლეს.
და მაშინ შესძლებთ, ხუცებს, კულაკებს,
ამ თქვენ დღევანდელ ცბიერ მეგობრებს,
მისცეთ პასუხი ღირს შესაფერი:
(დეე, ბრაზისგან ეცვალოთ ფერი).
—„დიაღ, საბჭოთა ხელისუფლება
ულმობელია და უდიერი,
ხოლო არ ჩაგრულთ და ღარიბთათვის,
არამედ მითთვის, მუქთ-მჭამელთათვის,
ღარიბ-ჩაგრულთა ვინც არის მტერი,—
მტრისა არ იცის ც.5 შებრალება.

**დემიან ბედნი.**

# ელექტროფიკაციის
## გეგმის 10 წელი

10 წლის წინად, საბჭოთა მე-VIII ყრილობაზე, ლენინმა სთქვა: კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია. ის ფრაზა წარმოთქმულ იქნა სახელმწიფო კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით ელექტროფიკაციაზე მუშაობის შედეგების გამო. გეგმა შედგენილი იყო 15 წლის მანძილისთვის. ელექტროფიკაციის ძალა უნდა აყვანილიყო 1.750.000 კილოვატზე. ეს გეგმა გამარჯვებით იქნა მიღწეული. 1931 წლის 1 იანვრისათვის გვექნება 1.300.000 კილოვატი, ხოლო ხუთწლედის მესამე წელში ელექტროსადგურების მიხედვით გვექნება კიდევ მილიონი კილოვატი. ამ რიგად 1932 წ. 1 იანვრისთვის მთელი გეგმა გადაჭარბებით შესრულებული იქნება.

ელექტროფიკაციის გეგმას ეწინააღმდეგებოდნენ კლასიური მტრები და განსაკუთრებით „სამრეწველო პარტია", რომლის წევრები ცდილობდნენ ჩაეშალათ ელექტროფიკაციის განხორციელება საბჭოთა კავშირში. მავნებლების ობიექტიურად ხელის შემწყობი იყვნენ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტები.

მაგრამ საბჭოთა ქვეყანამ გარდაიტანა ყოველი დაბრკოლება, პარტია დაადგა ლენინის და მის ერთგულ მოწაფის სტალინის გზას; ახორციელებდა სოციალისტურ მშენებლობის გენერალურ ხაზს და მით აღწევდა სოციალიზმის უდიდეს დამარჯვებას.

ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გვაქვს უდიდესი მიღწევები ელექტროფიკაციის მშენებლობის საქმეში.

ზაჰესი, რაიონული სადგურები, ბაქოს უდიდეს ჰიდროცენტრალი, ახლო მომავალში რიონჰესი, აჭარჰესი, ძორაჰესი, კანკირჰესი, თაფარავანი, კარასახკალა და სხვ. აი, ის გრანდიოზული სურათი ელექტრომშენებლობისა ამიერ-კავკასიაში.





ელექტროფიკაციის 10 წელი

სურათზე—1) ზაჰესი; 2) რიონჰესი; 3) ძორაჰესი; 4) ზურნაბადჰესი; 5) კაპის ელექტრო-სადგური; 6) ლენინის სახელობის ჰიდრო-სადგურის სამანქანო შენობები; დაბლა გვერდით—დნეპროსტროის მშენებლობა.

# 1905 წლის რევოლიუციის XXV წლის იუბილე



















Отъ С.-Петербургскаго Генералъ-Губернатора и Начальника С.-Петербургскаго гарнизона

ИЗВѢЩЕНІЕ.

Население столицы встревожено слухами о предстоящихъ якобы массовыхъ безпорядкахъ.

Мѣры по охраненію личности и имущества въ столицѣ приняты; поэтому прошу население указаннымъ слухамъ не вѣрить.

Если бы однако где-либо возникли попытки къ устройству безпорядковъ, то таковыя будутъ прекращаемы въ самомъ началѣ и, слѣдовательно, серьезнаго размѣра не получать. Войскамъ и полиціи мною дано приказаніе всякую подобную попытку подавлять немедленно и самымъ рѣшительнымъ образомъ; при оказаніи же со стороны толпы сопротивленія — холостыхъ залповъ не давать и патроновъ не жалѣть.

Считаю долгомъ предупредить объ этомъ населеніе столицы, дабы каждый обыватель, примкнувши къ толпѣ, производящей безпорядокъ, зналъ, чѣмъ онъ рискуетъ; благоразумное же населеніе столицы, во избѣжаніе тяжелыхъ послѣдствій, и приглашаю къ сборищамъ, направленнымъ къ нарушенію порядка, не примыкать.

Подписалъ: Свиты Его Величества генералъ-маіоръ Треповъ.

[illegible] 1905 года.

1) 1905 წლის არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანო, რომელიც გამოდიოდა თბილისში. 2) ამხ. სტალინი, ცხაკაია და მახარაძე 1905 წელში; 3) 1905 წ. ბარიკადები ბრონის ქუჩაზე მოსკოვში; 4) 1905 წლის ბარიკადები რუსეთში; 5) ყაზახების თავდასხმა მუშებზე;6) რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ორგანო, რომელიც გამოდიოდა ჟენევაში 1905 წ.' ბოლშევიკების პირველი ლეგალური გაზეთი 1905 წელს თბილისში; არალეგალური სტამბა 1905 წელს ავლაბარში; 7) გენერალ-მაიორის ტრეპოვის ბრძანება 1905 წელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თბილისის მექანიკურ ქარხანაში შენდება ახალი სადნობი ცეხი

# ნოემბერ-დეკემბერი თბილისში 1905 წელს

გაფიცვებისა და დემონსტრაციების თვეთ უნდა ჩაითვალოს 1905 წლის ოქტომბერი. თოთხმეტ ოქტომბერს რკინის გზის სახელოსნოებში დაწყებული გაფიცვა, მალე მთელ ტფილისს მოედო და 15 ოქტომბერს საყოველთაო გაფიცვა გავრცელდა ყველა ფაბრიკა-ქარხნებზე, ყველა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებზე. ნოემბერში ტფილისში მოხდა სომეხ-თათართა ურთიერთი ულეტა და დეკემბერი კი მუშების დახვრეტით დამთავრდა.

18 ოქტომბერს ტფილისში მოვიდა ცნობა 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ. ეწყობა მიტინგები—დიდუბეში, ნაძალადევში, მაგრამ არ ეძინათ თვითმპყრობელობის დამქაშებს და აი 22 ოქტომბერს ისინი ტფილისის ქუჩებზე სისხლიან დღეს აწყობენ.

ამ დღეს პატრიოტების ჯგუფი მანიფესტაციით, სურათებით, ეროვნული სიმღერებით გაეშურენ მეფის ნაცვლის სასახლისაკენ. მსვლელობის დროს მანიფესტანტებთან ერთად მიმავალი ჯარის კაცები ესვრიან სრულიად უდანაშაულო ხალხს, რის შედეგათ აღმოჩნდება 38 მოკლული და ასიოდეც დაჭრილი. 22 ოქტომბერს მომხდარი სისხლისღვრა თვით მთავრობის მიერ იყო მოწყობილი. მთავრობა ამით მაინც არ დაკმაყოფილდა და ნოემბერში მან მოაწყო სომეხ-თათართა ურთიერთი ულეტა. ამ ულეტამ რომელიც ბაქოდან დაიწყო, ტფილისამდინაც მოაღწია. ოქტომბრის დემონსტრაციების შემდეგ, 20 ნოემბრამდე ტფილისში არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა.

21 ნოემბერს—მთავრობის ოფიციალური ცნობით სომეხ-თათართა ულეტა დაიწყო შემდეგ პირობებში. საღამოს 5 საათზე სომხის ბაზარზე გაიარა ერთმა თათარმა. სომხების ჯგუფმა, რომელმაც შეამჩნია, რომ თათარს რევოლვერი ჰქონდა, შეეცადა გაეჩხრიკა იგი და იარაღი წაერთმია. ამის გამო ქუჩაზე ხალხი შეგროვდა, როცა ეს შეამჩნია იქ მდგომმა პოლიციელმა, თომა ლეპკოვსკიმ, მას უნდოდა ბრბოს დაშლა, ხალხს დაუყვირა: ხელი არ ახლოთ მას, თორემ მოვლენ თათრები და ყველას დაგხოცავენო... პოლიციელის განცხადებამ ხალხი ძალზე გააბრაზა და რამდენჯერმე ესროლეს მას რევოლვერი, რის გამო იგი მსუბუქად დაიჭრა. ამის შემდეგ სომხის ბაზარზე ხალხი თითქო დამშვიდდა, მაგრამ გოლოვინის პროსპექტზე და ერევნის მოედანზე ამ ამბავმა დიდი პანიკა გამოიწვია და ხალხმა ვერისაკენ გაქცევა იწყო. იმავე დროს მეექვსე საპოლიციო უბანში (თათრების უბანია) მიცვივდნენ თათრის მუშები და უამბეს რომ სომხებმა თათარი მოჰკლესო. ეს ამბავი ხელათ მოედო თათრებს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ვორონცოვის ქუჩა, მაიდანსა და აბანოს ქუჩის შუა, ხალხით გაივსო..." ასე დაიწყო შეტაკებები ტფილისში, რომელიც ნოემბრის გასვლამდე გაგრძელდა.

დაშნაკებს ტფილისში ჰყავდათ თავისი სამხედრო შეიარაღებული ძალები, რომელიც მზად იყო ასეთ შეტაკებების დროს ემოქმედნა. თათრებს თუმცა ორგანიზაციულად მოწყობილი რაზმები არ ჰყავდათ, მაგრამ მახლობელ თათრების სოფლებიდან მათ მრავალი შეიარაღებული ძალა შემატებოდათ. ამ შეტაკებისათვის ნიადაგი უკვე მზათ იყო და ტფილისში დიდი სისხლისღვრა მოხდებოდა, რომ ტფილისის პროლეტარიატს თავისი ჩარევით თავიდან არ აეცილებია იგი.

საქმე იმაშია, რომ სომხის მასა დაშნაკების ძლიერი გავლენის ქვეშ იყო. თათრების მასა შეუგნებელი და უსაზღვრო სარწმუნოებრივ ფანატიზმის გავლენას განიცდიდა და რომ ტფილისის სოც. დემოკრატიული ორგანიზაცია, როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები საქმეში არ ჩარეულიყვენ სისხლიანი შეტაკება დიდი იქნებოდა. სოც.-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ზომა იხმარეს, რომ ეს ძმათა შეტაკება თავიდან აცილებულ ყოფილიყო. ამიტომ ეწყობოდა მიტინგები. მიტინგებიდან სავადასხვა ეროვნების ხალხი მიდიოდა იმ ადგილებისაკენ, სადაც შეტაკებებს ჰქონდა ადგილი, რაც თავის გავლენას სტოვებდა. ამავე დროს მთელი ღამის განმავლობაში ქუჩებში დადიოდენ სოც.-დემოკრატიულ პარტიის მებრძოლი ორგანიზაციის პატრულები—მუშა სოც.-დემოკრატები სამ-სამი თითო ეროვნებიდან.

სამწუხაროდ მუშებს არ აღმოაჩნდათ საკმაო იარაღი და ეს აძნელებდა სომეხ-თათართა ულეტის შეჩერებას. სწორედ ასეთ დროს ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით მუშებს გადაეცა 500 ბერდანის თოფი შეტაკების ჩასაქრობათ. რა მიზანი ჰქონდა მთავრობას, როცა მუშებს იარაღს აძლევდა, ძნელი გამოსარკვევია, ხოლო წინადადებაზე უარის თქმა ყოვლად უაზრობა იქნებოდა. მუშებმა მიიღეს იარაღი და შეტაკება კიდეც ჩააქრეს.

მართალია, მუშებმა თავისი ჩარევით სისხლისღვრა ორ ძმათა შორის თავიდან აიცილეს და ეს სამარცხვინო მოვლენა დაახშვეს, მაგრამ ამას მოჰყვა რევოლიუციონური მოძრაობის შესუსტება. რომ ეს ასეა და მთავრობაც კარგად გრძნობდა ამას, ეს ნათლად სჩანს ერთ საიდუმლო მოხსენებაში, რომელსაც გენერალი შირინკინი უგზავნის შინაგან საქმეთა მინისტრს—„პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეს, 3 დეკემბერი, ტფილისი. საერთო მდგომარეობა კავკასიაში დაწვრილებით გამუქებულია წერილში 16 ნოემბრიდან. მას შემდეგ რევოლიუციონური მოძრაობის მსვლელობა როგორც სანქტპეტერბურგში, ისე ტფილისში, არ შეიძლება გაძლიერებულად ჩაითვალოს, ახლა, პირიქით ის შესამჩნევად დაწეულია სომეხ-თათართა შეტაკების ზეგავლენით, რამაც ყურადღება სხვაზე მიიქცია. თვით შეტაკება აქ გამოწვეული იქნა სომხების შიშით, რაც სინამდვილეში არ გამართლდა, მაგრამ სოფლებიდან თათრების შემოსევის შიშმა გამოიწვია მოსახლეობის შეიარაღება. შეტაკების შედეგი მსხვერპლის მხრით მცირეა, ცეცხლისაგან განადგურებულია რამდენიმე სახლი. განაპირა ადგილები რევოლიუციონურ მიდრეკილებებს არ იჩენს, თავის მოქმედება შეზღუდული აქვს მხოლოდ თავდაცვით"...

როცა თათრებსა და სომხებს შორის შეტაკება ჩაცხრა, წამოიჭრა საკითხი იარაღის დაბრუნების შესახებ. ამას დაჟინებით მოითხოვდა „პატრიოტების“ პარტია. მუშები უარზე იყვნენ, მაგრამ ბოლოს იძულებული იყვნენ ნაწილობრივ გადაეცათ უვარგისი თოფები. თოფების უკან დაბრუნება მოხდა მენშევიკების გაუბედავი, მერყევი და შემარიგებელი ტაქტიკის მეოხებით, რომლებიც რევოლიუციის გამარტივებისთვის საჭიროდ არა სთვლიდენ შეიარაღებას.

ნოემბერში სომეხ-თათართა შეტაკებას დამთავრების შემდეგ, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, თითქო რევოლიუციისირგვლივ რაღაც შავი ღრუბლები იკრიბებოდესო, თითქო რევოლიუცია კვლავ განსაცდელში ვარდებოდესო. რუსეთში კი რევოლიუციონური ტალღები ზვირთდებოდა. 7 დეკემბერს მოსკოვში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. 12 დეკემბერს დაიწყო საყოველთაო გაფიცვა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე. მთელი რკინის გზა გაფიცულებმა დაიკავეს.

რევოლიუციონური ტალღები კვლავ აზვირთდა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ცენტრალური ბიურო. 14 დეკემბერს ტფილისის ასოთ-ამწყობებმა თავიანთ კრებაზე გადასწყვიტეს ამ გაფიცვის დროს არ გამოვიდეს არც ერთი გაზეთი გარდა „სხივისა“ და „რაბოჩი ლისტოკისა“.

14 დეკემბრიდან გაფიცვის ბიუროს დადგენილებით, ტფილისში გაფიცვა გავრცელდა ყველა სავაჭროებზე და დუქნებ-მაღაზიებზე, იმათ გარდა, სადაც იყიდება პური, ხორცი და ნავთი. დეკემბრის საყოველთაო გაფიცვა ცხადია წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო. გაფიცვის მოთხოვნილებანი შემდეგი იყო:

1) თავისუფლების გარანტია და ამ მიზნით რეაქციისათვის იარაღის აყრა. ა) გულ რუსეთში კაზაკთა ჯარების დაშლა და მისი სამშობლოში გასტუმრება, ბ) ძველი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სამსახურიდან გადაყენება, გ) სალდათობის პოლიციურ ვალდებულებათაგან განთავისუფლება. 2) ხალხის შეიარაღება, 3) სამხედრო და საალყო წესების მოხსნა რუსეთში, 4) სრული პოლიტიკური ამნისტია, სხვათა შორის, უკანასკნელ დროს დატუსაღებულთათვის, 5) სალდათობისათვის ორი წლის სამსახური, 6) საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო საარჩევნო უფლება, 7) დამფუძნებელი კრების მოწვევა.

ასეთი იყო დეკემბრის გაფიცვის მოთხოვნა.

თხუთმეტ დეკემბერს ტფილისში გამოცხადდა სამხედრო წესები.

ბოლშევიკები კარგად გრძნობდნენ მომენტის მნიშვნელობას და ამიტომ მოუწოდებდენ მუშებს და აცნობებდენ,—რომ ქუჩაზე შეტაკების მომენტი ახლოვდება. გამწვავებული კრიზისი ქალაქებში, გაძლიერებული სიმშილობა სოფლებში, აჯანყებები ფლოტში, აჯანყებები ჯარში—ყოველივე ეს აუცილებლად ხდის სწორედ ასეთ შეტაკებას.

ემზადეთ ამხანაგებო, კონტრ-რევოლიუციის ძალები ირაზმებიან სახალხო თავისუფლების ჯალათების ირგვლივ,—თქვენც დაირაზმეთ სოციალ-დემოკრატიის ანუ თქვენი მოწინავე ამხანაგების ირგვლივ!.. ასეთი თქმა გასაგები იყო მუშებისათვის და ის კიდეც ახდენდა დიდ გავლენას მათზე. მოახლოებულმა კონტრ-რევოლიუციამ მალე ბოლშევიკური გაზეთები დაკეტა.

სამხედრო წესების გამოცხადება ნიშნავდა ოქტომბრის თავისუფლების მოსპობას და ავაზაკების თავისუფლების გამეფებას. 15 ოქტომბრიდან მთავრობამ თავი მიანება რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობას, ამ დღიდან მან თავი მიანება ყოყმანს,15 დეკემბერს ჟანდარმები თავს დაესხენ გაფიცვის ბიუროს სადგომს, გაჩხრიკეს იგი და იქ მყოფი ერთი მუშა დაატუსაღეს. ქუჩებზე დაიწყეს სიარული კაზაკებმა და პატრულებმა. სადგური და დეპო გარშემორტყმული იყო ჯარით. მთავრობა შეუდგა გაფიცვის ლიკვიდაციას.

რეაქციის დაწყებასთან ერთად, ყველაზე მეტი საშიშროება შავრაზმელებისაგან და კაზაკებისაგან მუშათა რევოლიუციონურ უბანს—ნაძალადევს მოელოდა. გადაწყვეტილი იყო ამ უბნის დაცვა. ღამით ნაძალადევში დადიოდა მუშათა პატრულები. 18 დეკემბერს ღამით ერთ ასეთ პატრულს მოუხდა შეტაკება მთავრობის ჯართან, რომელიც შედგებოდა კაზაკების, ჟანდარმებისა და ცხენოსან ჯაისკაცებისაგან. მთავრობამ კარგად იცოდა რომ ნაძალადევში იყო ყოველგვარი იარაღის და ყუმბარების საწყობი, ამიტომ იერიშიც იქით მიჰქონდა, რათა ხელში ჩაეგდო ეს რევოლიუციონური ციტადელი.

18 დეკემბერს ნაძალადევზე თავდასხმა,—ტფილისის პოლიცმეისტერის მიერ გუბერნატორისადმი მიწერილ საიდუმლო ცნობაში—შემდეგნაირათაა აწერილი: „მეათე უბნის ბოქაულმა მაცნობა, რომ 18 დეკემბერს ღამის 3 საათზე ნაძალადევი სამხედრო უფროსის განკარგულებით გარშემორტყმული იყო სამხედრო ძალებით. დადგეს ორი ზარბაზანი—ერთი ავჭალის ქუჩაზე ბოდეს სახლის ახლო, მეორე გერმანელების მიწაზე მწვანე დუქნის იქით. როცა ქვეითა ჯარის ასეული შემოვიდა სანაგვე ქუჩის მხრივ მათ შეეფეთა 11-12 თავდაცვის პირები, რომელთაც უბრძანეს რომ შეჩერებულიყვნენ და ჩაებარებიათ იარაღი. მაშინ ერთმა თავდამცველთაგანმა ისროლა რევოლვერიდან, რის შემდეგ ყველა გაიქცა. მათ უკან დაედევნა ჯარი. გაქცეულებს წინ დაუხვდათ კაზაკები, რომლებიც გარს შემოერტყენ მათ და რომლებმაც ხიშტებით და ხმლებით დახოცეს ისინი. მოკლულები აღმოჩნდნენ: გიორგი ელიავა, მიხა კალაძე, ილიკო ნინიძე, კუცარაშვილი, ივანე ხუციშვილი, ტუხა ლახიაშვილი, თვარაძე და გერმანე დვალი, დაჭრილია გაქტიონ ძაგანიძე.

აქ ჩამოთვლილ დახოცილთა რიცხვს აკლია, პეტრე ცინცაძე, ვასო თვარაშვილი, გრიგოლ ჯაში. დაჭრილები იყვენ—დვალი, ძაგანიძე და კამო.

მეორე დღეს ხალხს საშუალება ჰქონდა დაითვალიერებინა დახოცილები ენახა. მათ თვალწინ საშინელი სურათი წარმოდგა მხეცური მოქმედებისა. ყველა შურისძიებით გაიმსჭვალა. საჭირო იყო პასუხის გაცემა. ეს პასუხი ტერორისტული საშუალებით იქნა მიცემული.

ასე, 22 დეკემბერს, სალდათის ბაზარზე სომხის სემინარიის შენობიდან კაზაკების რაზმს ესროლეს ორი ყუმბარა. დაიჭრა სამი კაზაკი და ერთიც ჯარისკაცი. მოკლულ იქნა ერთი ბავში და ორი ცხენი. ამ შენობას მაშინვე შემოარტყეს ალყა და თოფები და ზარბაზნები დაუშინეს. სახლს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. მეორე დღეს საავადმყოფოში მიიტანეს 29 მოკლული და ცეცხლში დალუპული და 30 დაჭრილი. 24 დეკემბერს დამწვარი სახლიდან კიდევ ამოიღეს 4 გვამი.

23 დეკემბერს სამხედრო პატრულმა გააჩერა და გაჩხრიკა ეტლი, ეტლში მჯდომ ორ კაცს აღმოაჩნდათ ორი ყუმბარა. მათ უჩვენეს, რომ ყუმბარები მიიღეს საწყობიდან, რომელიც იმყოფება დიდუბეში, შერემეტიევის და ელისაბედის ქუჩების კუთხეში. ამ სახლს მაშინვე ალყა შემოარტყეს გაჩხრეკის მიზნით, მაგრამ მათ სროლა დაიწყეს, როგორც ამ სახლიდან ისე მეზობელ სახლებიდანაც. ისროდენ თოფებს და ყუმბარებს. ჯარმაც სროლით უპასუხა, მერე კი ზარბაზანი ესროლა 15 ჯერ. მთავრობის ცნობით აქ მოკვდა 8 კაცი, მაგრამ ნამდვილად მსხვერპლი მეტი იყო.

გარდა ასეთი შეტაკებებისა იყო ცალკეული ტერორისტული აქტებიც. მალე რევოლიუციონურ ორგანიზაციების დადგენილებით ტერორისტული აქტები შეწყვეტილ იქნა, რადგან მისი მეოხებით ბევრი უდანაშაულო ადამიანი იღუპებოდა.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში ტფილისში მოვიდა ცნობა, რომ შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში დამარცხებულიყო. ამის შემდეგ საყოველთაო გაფიცვაც შეწყდა და ამასთან ერთად დამარცხდა პროლეტარიატიც. კვლავ დაიწყო არალეგალური მუშაობა და 1921 წელს პროლეტარიატმა ახალი რევოლიუციონური გამოსვლით სავსებით დაამსხვრია თვითმპყრობელობა და ხოლო ოქტომბერში კი დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

**დ. სულიაშვილი.**



**ბათუმი — ახალი ელექტრო სადგური.**



**შირაქში დაიდგა კიდევ ახალი ჭა-ბურღილები.**



სუხიშვილის სახელობის მექანიკურ ქარხანაში განზრახულ გეგმას გადააჭარბეს 25 პროცენტით და ცეხი გამოაცხადეს ს. კ. პ. (ბ) ც. კ-ს სახელობის დამკვრელად

# თებერვლის ღამეს*)

უკვე დღეა, თოვლივით ბჭყვრიალა, შევერცხლილი, თეთრი დღე.

თოფით, სავაზნეებით, რევოლვერით შეიარაღებული, გიჟივით მივრბი ქუჩაში,

ვინც მხვდება—ჩერდება, მაცქერდება, ალბათ მართლა გადარეულის გამომეტყველება და სიარული მაქვს.

მივრბი უკან მოუხედავათ, ვუსწრებ ეტლებს, მარხილებს და ხელში რევოლვერს ვკუმშავ.—მეშინიან კიდევ სადმე არ შემეჩეხოს ის უცნაური მოჩვენება.

აი უკვე რევოლუციონურ კომიტეტის წინ მოედანს მივაღწიე. რაზმელებმა შემნიშნეს. ჩემსკენ მორბიან, რა ამბავია! ნუ თუ ამ საშინელი ღამის ამბავმა უკვე მოაღწია აქამდე? მაშ რათ აშლდევნია ამდენი ხალხი, რაშია საქმე?

შეუჩერებლად ავრბივარ მაღალ კიბეს. წინ ამხანაგები მეღობებიან ,მეძახიან, რაღაცას მეკითხავენ, მაგრამ უკან არ ვიხედები... მაგარი მუჯლუგუნით ვაღებ რევოლუციონურ კომიტეტის კარს და მერე... მერე აღარ მახსოვს.

წყლის ცივმა წვეთებმა თვალები ამახილეს, ხალხი მეხვევა:

— ამხანაგო, რაშია საქმე, რა დაგემართა, რა არის ეს სისხლი!

— სისხლი? შეშინებული ვაცქერდები ჩემს ხალათს, შარვარს... თავიდან ბოლომდე სისხლით ვარ გალესილი.

— ამხანაგო, სთქვი რაშია საქმე, გაგვაგებინე რა მოხდა?

— მოჰკლეს, მოჰკლეს!.. ვიძახი მთელი ხმით.

— ვინ მოჰკლეს, სანდრო? როდის, ვინ, სად, მომძახის უზარმაზარი ოთახი.

— სანდრო კი არა, მარლელი მოჰკლეს, ხელში მომიკლეს.

ყველა გაოცებულია.

— შავი, დიდი ტყავის ქუდიანი მეეტლე იყო... ვესროლე, ალბათ დავაცილე. აი მისი თოფი და სავაზნეები! ვყვები ხან თავიდან, ხან ბოლოდან. აქეთ-იქიდან მეხვევიან, შემომცქერიან. ვატყობ: ზოგიერთი ეჭვითაც მიყურებს. მაგრამ რა ვქნა, თავის მართლებას ხომ ვერ დავიწყებ!.. ან მე რაში ვარ დამნაშავე?

წუხანდელი მკვლელობის ამბავმა ელექტრონის სისწრაფით დაუარბინა ამ უზარმაზარ შენობის ძარღვებს. დერეფანში გავლა შეუძლებელია. ყოველ ნაბიჯზე გზას მიღობავენ.

დაღლილი და ძალ-ღონე მიხდილი ერთ-ერთ მახლობელ ბინაზე მივყევარ ამხანაგებს.

აი დილას აქეთ საწოლზე პირქვე ვგდივარ და ჯარისავით ვტრიალებ.

შუადღისას ერთ-ერთი ამხანაგი შემორბის ოთახში:

— ამხანაგებო, უცნაური ამბავი, მართლა უცნაური ამბავი!

— რაშია საქმე!—ყველა ეკითხება.

— ოხრანკის უფროსი თავის ბინაზე სასიკვდილოდ დაუჭრია ვიღაცას. დაჭრილის ცოლი ამბობს, რომ თოფის გავარდნის უმალვე მან აივანზე თვალი მოჰკრა მაღალ ტანის მეეტლეს, რომელიც აივნიდან ეზოში გადახტა.

მართლა და უცნაურია. ვინ არის ის ოხერი მეეტლე, ქალაქში რომ დათარეშობს და ესე ნიშანდობლივ არიგებს ტყვიებს!

მაგრამ სად მარლელი, სად ოხრანკის უფროსი! რა მსგავსებაა მათ შორის...

მხოლოდ დილას გავიგე, რომ ამ ორ დღეს

✽✽✽

თურმე შინაურ პატიმრობაში ვყოფილვარ, ვიდრე მკვლელობის ამბავს ზედმიწევნით შეამოწმებდენ.

ორ დღეს ეჭვის თვალით მიყურებდენ მთელი ამხანაგები და რიგ-რიგათ მდარაჯობდენ, რომ არსად გავპარულიყავ.

აი რატომ არსად მიშვებდენ! მე კი სულ სხვა მეგონა. სულელო ჩემო თავო, აქაო და წითელი ნიშანი გეკერა მკერდზე, დიდ რევოლუციონერად მოგქონდა თავი!

ჩემს ბავშურ აღფრთოვანებას უკვე დაელეწა ფრთები. ხალისი დამეკარგა.

რა ეშმაკად მინდა ეს თოფი, სავაზნეები, რევოლვერი!

თოფსა და სავაზნეებს რაზმის უფროსს ვაბარებ. რევოლვერი კი ისევ მზათ მაქვს ყოველ შემთხვევისათვის.

აი 5 დალუპული რაზმელის კუბოს მივასვენებთ საძმო საფლავისაკენ, ამათში ერთი მარლელის კუბოა. როგორი შიშით მეკითხებოდა თავის ცოლ-შვილის ამბავს და ისე მოკვდა, ვერაფერი გაიგო...

ნელა მივდევ კუბოებს და თითქოს რაიმე დანაშაულს ვგრძნობდე—მაღლა ვერა ვწევ თავს, რაღაც სიმძიმე მაწევს მხრებზე.

ამხანაგები კი ისევ სანდროს უკვალოდ დაკარგვას უტრიალებენ. ყველა დარწმუნებულია: ის უკვე მკვდარია. აქნობამდის კი არა, და დღეს, არ ვიცი რათ, მეც უკვე მჯერა—სანდროს თავს რაღაც უბედურება მოხდა.

დაღლილ-დაქანცული, მოწამლული ფიქრებით ვბრუნდები სახლისაკენ. იმ საშინელი ღამის შემდეგ ჩემს ბინაზე აღარ ვყოფილვარ. მივდივარ და საღამოს ბინდში ყოველი კუთხიდან მაღალი მეეტლის ჩრდილი მიღობავს გზას...

---

*) გაგრძელება, იხ. „დროშა" № 23.

რევოლვერი მზათ მაქვს, ნაბიჯს ვუჩქარებ, სიარული სირბილად იცვლება და რაც ძალი და ღონე მაქვს მუშტს ვურტყამ შესავალ კარს.

— დუნია, დუნია, ჩქარა გამიხსენ კარი!

დუნიაც, მოხუცი დიასახლისიც კანკალით ჩნდებიან დერეფანში.

— ნუ გეშინიათ, რა გაშინებთ,—ვამხნევებ მათ, მაგრამ მე თვითონ მეშინიან და ჩემი ოთახის კართან ვდგევარ გაქვავებული.

— სისხლი აღარ ეტყობა დუნია?

— არა, ბატონო სტუდენტო!

— ფანჯარას ფარდები ააფარეთ?

— დიახ ავაფარეთ! სანდროზე კიდევ არაფერი ისმის ბატონო?

— ეჰ, სანდროზე არა, არა... არაფერი ვიცი...

ოთახისაკენ ძლივს ვდგამ ნაბიჯს.

— დუნია ვიდრე დავიძინებდე, შენც, დიასახლისიც ჩემს ოთახში შემოდით. ცუდათ ვარ, ძალიან ცუდათ!

ჩემს სურვილს ასრულებენ. ოთახში სამი დამუნჯებული ქვა გდია: ჩემი მოხუცი დედობილი ლუმელთან ზის, დუნია კარებთან, მე მაგიდაზე ვარ დამხობილი. თითქოს ვიღაცას ველით, სულგანაბული ყურს ვუგდებთ ქუჩაში მიმავალთა ფეხის ხმას.

— სს, თითქოს დერეფანში ზარმა გაიწკრიალა—სმენად ვართ გადაქცეული, გაქვავებული სიჩუმეა. არაფერი ისმის, ალბად მომეჩვენა.

მოიცა, კიდევ!

— დუნია, ზარს ხომ არავინ რეკს?

— არა ბატონო!

ზარის ხმა უკვე მკაფიოთ ისმის ოთახში.

— დუნია, გესმის ზარის ხმა!

— ეხლა მესმის ბატონო!

დუნია მირბის დერეფანში. დიასახლისიც დგება და წასასვლელად ემზადება, მე გარინდებული ვდგევარ მაგიდასთან. დუნიას აჩქარებული ნაბიჯი გვიახლოვდება.

— ვიღაც მეეტლეა ბატონო, ავათმყოფს გავს, თქვენა გკითხულობთ!...

— რაო, მეეტლე?!

თითქოს გაყინული ლურსმანი გამიყარეს ტვინში, თვალებში შავი წინწკლები ამითამაშდენ. ჯერ შიშით მაჟრჟოლებს, მერე ისევ ვიკრებ ძალღონეს და მომარჯვებული რევოლვერით კარებისაკენ მივექანები...

ეს რა ამბავია ჩემს თავს! შიში—სიხარულმა შესცვალა, ლამის ხარხარი ავტეხო. ჩემი მოსისხლე აქ არის. აქ, აი საცაა კარი გაიღება და პირისპირ შევხვდებით ერთმეორეს.

დაუპატიჟებელი სტუმარი მუჯლუგუნით თვითონ ხსნის კარს და დერეფნის კედელს სწორედ ის მაღალი, შავი მეეტლე ეყუდება... მე რევოლვერი უკვე გამიზნებული მაქვს. რიკის გამოსაწევათ ვაწვები თითს. საცაა ჩემი მოსისხლე—მოჩვენება სისხლში დაიწყებს ფართხალს და ამ დროს, თითქო ორმოიდან, ვიღაც მეძახის:

— დასრულე ლეო, დასრულე, ამდენს რაღას მაწვალებ!

მოტეხილ ტოტივით მწყდება მისკენ გაწვდილი ხელი და უკან-უკან ვიხევ.

მოჩვენება თავს არ მანებებს, კედელზე მიყრდნობილი მომდევს და მე ტანს ისევ მობურუებს შიშის ჟრუანტელი.

უკვე ოთახში ვართ. მოჩვენების შავი ჩრდილი ჩემს კვალს მოსდევს.

— დასრულე, დასრულე ლეო,—მომძახის მწარეთ. ღონე მიხდილი ეცემა სკამზე. ცალი ხელით ქუდს იგლეჯს, მეორე ხელით ხელოვნურად მიწებებულს გრძელ წვერულვაშსა და ნამგლისპირივით შეკრეჭილ თმას ანარცხებს იატაკს.

— აჰა, მესროლე, მესროლე, ესე უკეთესად ამომიღებ მიზანში. მესროლე მეთქი, რაღას ჩერდები?!—გაშტერებული ერთსა და იმავეს მიმეორებს.

გავგიჟდი, სიზმარში ვარ თუ ეს რა ამბავია ჩემს თავს! ვხედავ—ჩემს წინ სანდროა, არა მჯერა, ვაკვირდები—სწორედ ის არის; ვეცქერი—ისევ არ მჯერა; რას ნიშნავს ეს ტანისამოსი, ეს აკანკალებული ხმა, ეს საყვედურიანი ძახილი და მგელსავით კალო:—დასრულე, დასრულე!

— რა დავაშავე სანდრო, ეს მართლა შენა ხარ, თუ გადაირიე?!

— სანდრო, სანდრო!—დუნია და დიასახლისი კივილით შემორბიან ოთახში.

— სანდრო კი ფერ-წასული, ღონე-მიხდილი იქვე, თავის საწოლზე ეშვება და ისე გმინავს, თითქოს გახურებული შანთებით უდაღავდენ შიგნეულს

—:—

მე, დუნია, დიასახლისი მთელ ღამეს თავს ვევლებით სანდროს, მას მარჯვენა ბარძაყი ტყვიით აქვს გაგლეჯილი, მინდა ექიმი მოვიყვანო, მაგრამ ნებას არ მაძლევს, ჭირვეულობს, ყვირის, თავის მოკვლით იმუქრება.

ჩვენ კი არაფერი ვიცით, როგორ უნდა ჭრილობას მოვლა, ერთმანეთში აზელილ სისხლსა და ჩირქს ადუღებული წყლით ვბანთ, მაგრამ პირდაღებული ჭრილობისათვის, ხელი ვერ მიგვიკარებია, ეტყობა საშინელ ტკივილს გრძნობს, დაცოფილივით ღმუის.

გახურებულ შუბლზე ცივი ტილო აფენია, თვალებს არ ახელს, გაწითლებული იგინება, მაგრამ როდესაც ვეკითხები—ვის იმუქრება. დიზეა გულმოსული,—ხმას არ მცემს, ერთხელ თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, გალესილ ხანჯალივით მომაბჯინა თვალები, მაგრამ უცბად გველნაკბენივით დაღრიჯა სახე და ისევ დადუმდა.

სად იყო აქამდე ხანს, ვინ დასჭრა, ვის აგინებს, არაფერი ვიცი. ამბის შესატყობინებლად რევოლუციონერ კომიტეტში გაქცევა დავაპირე, მაგრამ ისე შემომხედა, თითქო იმ წუთში ჩემი გათავება უნდოდა!

— ვიცოდე შენ მოხვალ ჩემს მაგიერ აქ ჩემი ლეში დაეგდება!— მუქარით მითხრა.

ტკივილისაგან ოთახის კედლებს ფრჩხილებით კაწრავს და ამხანაგების შეწუხებას ერიდება.

არა, როგორ შეიძლება ამხანაგებს არ აცნობო! კაცი სიკვდილის პირასაა, სწორედ ეხლა უნდა მას შველა, დახმარება.

ფეხაკრეფით გავდივარ დერეფანში, სახელდახელოდ ვწერ ბარათს და დუნიას ვგზავნი ამხანაგთან, რომელიც ჩვენი ქუჩის ბოლოს სცხოვრობს.

— დუნია, თუ სახლში არ დაგხვდეს, შენ თვითონ წაიღე. ქალაქის დიდი მოედანი ხომ იცი, ნიკოლოზის მოედანს რომ ეძახიან, წინ რომ მაღალი შენობაა,—სწორედ იქ მიიტან ამ ბარათს. თუ ყარაულმა არავინ მოგიახლოვა, ხმა მაღლა იყვირე: დაიძახე, რომ სანდრო დაჭრილია, სიკვდილის პირას არის და სასწრაფო შველა უნდა. მის სახელს ყველა იცნობს, გაიგებენ, მთელი კომიტეტი იმ წამსვე აქ გაჩნდება.

დუნია მიდის. მე ისევ ფეხაკრეფით ვბრუნდები ოთახში.

სანდრო თითქოს მიყუჩდა. ხანგამოშვებით ყრუდ კვნესის. ფეხის წვერებით ვუახლოვდები ჩემს ტახტს და ულონოდ, მოწყვეტილი ტანით ზედ ვეშვები.

ქვასავით დამძიმებულ თავში ისევ ნისლიანი ბურანია. ვინ იყო ის უცნაური, შემოსილი მეეტლე,—მოსისხლე ლეკივით თავს რომ დამესხა! რა ჯადოური სიზმარია ჩემი, რას უშავებდა ის უბედური ჩონჩხი, რომელმაც ათი წელი გაატარა ქვის კუბოში და სიცოცხლისათვის, სიხარულისათვის ძლივს ამოძვრა უზარმაზარ საერთო საფლავიდან! მოულოდნელად უკვალოთ, სად გაქრა სანდრო. საიდან დაბრუნდა დაჭრილ-დაფლეთილი! ესე ძალიან რათ ჰგავს იმ უცნაურ მეეტლეს, თუ ის არის, რათ არის ის!

თავი ჯარასავით ბრუნავს. ჯარას შავი ფიქრები ეხვევიან, მერე ისევ იშლებიან, ირევიან და ნისლიან ბურანში ვიძირები....

ქუჩიდან ზარის წკრიალი ისმის. ფანჯარასთან თითქოს ვიღაცას ფეხის ხმაა, უცნაური შიში მითრთოლებს სხეულს. სუნთქვას ვანელებ. ხმა მიწყდება. ფანჯარაში მეეტლის შავი ჩრდილი იკვეთება. მინდა დავიყვირო—ხმას ვერ ვიღებ, მინდა წამოვვარდე—ვერ ვიძვრი ადგილიდან. დალეწილი მინების და თითის ნაცნობ ხმას უერთდება სანდროს შემზარავი ძახილი: მიშველეთ!

თვალის დახამხამებაში ზეზე წამომჭრილი კედელს ვეყუდები. ფარდაჩამოფარებული ფანჯარა ხელუხლებელია, არც მინის ნამსხვრევებია სადმე, არც მეეტლე. სანდრო კი ნახევარი ტანით ტახტზე, ნახევარით იატაკზე ბღავის და მეხვეწება.

— ლეო მიშველე, აიღე რევოლვერი და მესროლე ზედიზედ, მესროლე მალე, რომ ერთბაშად გათავდეს ყველაფერი!

უსათუოდ სიზმარში ვარ! ფანჯარა ხელუხლებელია, ქუჩაში სიწყნარეა, სანდროს კი წითელი წყარო გადმოსჩქეფს მკერდიდან.. წელან მას ეს ჭრილობა არ ჰქონდა, ეხლა კი აი ნელთბილი სისხლით მელებება თითები.

— ლეო, როგორ არა გრცხვენიან ამდენს მაწვალებ! თუ ძმა ხარ მომკალ, მეტის გაძლება აღარ შემიძლიან!

მაგრად ვხვევ ხელებს, მინდა ავაყენო როგორმე და ტახტზე დავაწვინო, მაგრამ ის ქვასავით მეწევა დაბლა და თავისას იმეორებს.—ლეო დამსრულე, მეტის გაძლება აღარ შემიძლია!

ხელში რაღაც ცივი ნივთი მედება, ვსინჯავ, სისხლის გუბეში რევოლვერი გდია. ეხლა კი მესმის რაშია საქმე, სანდროს თავის მოკვლა უნდოდა და ვერ შეასრულა.

— სანდრო, სანდრო, რა დაგემართა! მითხარი კაცო რა ამბავია შენს თავს, გამაგებინე, იქნებ გიშველო რამე? ვეუბნები მას მაგრამ არაფერი ესმის.

— ლეო მომკალი, სულ ერთია—თავს არ ვიცოცხლებ! არ გესმის? აიღე რევოლვერი და მესროლე ერთად, ზედიზედ!

აღარ მეხვეწება და ისეთი ძალით მიყვირის, მებრძანებს, რომ მე უკვე შიში მიპყრობს და ჩემს უნებურად ვმართავ ხელში რევოლვერს.

უეცრად ქუჩაში ავტომობილის გუგუნი შემოვარდება, თანდათან ახლოვდება და ჩვენს ფანჯარასთან ჩერდება.

სანდრო ისევ ბღავის.

დერეფანში კარი იღება და რამოდენიმე აჩქარებული ფეხის ხმა უახლოვდება ჩვენს ოთახს.

ძლივს! ეს რევოლუციონური კომიტეტია! უსათუოდ ის არის! აი უკვე დუნიას ხმა ისმის, ვიღაცას ელაპარაკება.

-- ეს ოთახია?

-- დიახ, ეს გახლავთ!..

სანდროსაც ესმის ეს ხმა, ცოტა ხანს ყუჩდება, მერე კი უფრო მეტად ყვირის და ცდილობს რევოლვერი გამომგლიჯოს ხელიდან...

რაზმელები უკვე ოთახში არიან. უცნაურია. არც ერთი ნაცნობი ამხანაგი არ ურევია! არავის უხარია სანდროს დანახვა. არავინ ესალმება მას. ცივად, ხმა ამოუღებლივ გვიახლოვდებიან და ოთახს ტყავის ხალათა ბზზე, როგორც ქვისა ან ფიცრის ნაგლეჯი.

ე ამხანაგო, ნელა! ხედავ კაცი გაფლეთილია! გაოგნებული ვეუბნები მათ, მაგრამ ჩემი შენიშვნა თითქოს არავის ესმის, რვა მაგარსა და კოჟრიანს ხელს ხმა ამოუღებლად მიაქვს სანდრო.

— აქვე მომკალით. ნუღარ მაწვალებთ! ხალხი არა ხართ? შემიბრალეთ!

დერეფანში რაზმელებს ულონო ხმით ეხვეწება სანდრო.

უკვე ქუჩაში ვართ. ჩვენს წინ სწორედ ის საზარელი ავტომობილია, ამ სამი დღის წინ რომ საკატორღო ციხისაკენ მიგვაქროლებდა.

საკვირველია, სანდროსათვის ნუ თუ უკეთესი მანქანა ვერ გაიმეტეს? ამ დამტვრეულ ყუთში ძვალი და რბილი ხომ ერთი ერთმანეთში აერია! რაზმელებმა სანდრო უხეშად და დაუდევრად შეაგდეს მანქანაზე, სწორედ ისე უხეშად, როგორც ამ სამი დღის წინ ციხის უფროსი ჩვენ შევისროლეთ ტომარასავით.

— ამხანაგებო, ხომ არ გაგიჟდით, რას შვრებით, ხედავთ კაცი კვდება!—დავუყვირი რაზმელებს და მანქანაზე ასასვლელად ვეფოფხები. მაგრამ სანამ ასვლას მოვასწრებდე, მანქანა სწრაფად სწყდება ადგილს და მე შუა ქუჩაში ვრჩები მანქანის ნავთიან კვამლში გახვეული...

**ილო. მოსაშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროლეტარული მწერლობის

## ახალი კადრები



გამწვავებული კლასიური ბრძოლა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ შეტევასა და კაპიტალიზმის ძირების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, მწერალთა ორგანიზაციების წინ სვამს მთელ რიგ უდიდეს ამოცანებს, ჯერ კიდევ ჩვენს მუშაობაში მოუხდენელ ძირითად გარდატეხისათვის.

ჩვენი ლიტერატურა და კერძოდ პროლეტარული მწერლობა ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩენილია დღევანდელ რეკონსტრუქციის პერიოდის მუშაობის ტემპებს: რომ დაუკვირდეთ ჩვენს ლიტ-ორგანიზაციების მუშაობას და დღევანდელ მხატვრულ ლიტერატურას გადავხედოთ მოწინავე მუშა-დამკვრელის თვალით, დავინახავთ საკმაო ჩამორჩენილია დღევანდელ რეკონსტრუქციას უილაჯობასაც.

სოციალისტური მეურნეობის განვითარების თითოეული ახალი ფაზა, აყენებს ახალ და ახალ ამოცანებს კულტურული მშენებლობის მუშაკთა წინაშე. წარმოებულ სამეურნეო გადატრიალების პროცესი იმოდენად გრანდიოზული არის ჩვენს ქვეყანაში, რომ მასთან შეგუება და მისი შესწავლა ადვილ საქმეს არ წარმოადგენს. ამიტომ, რომ არ ჩამოვრჩეთ აუცილებელია მაგარი ნებისყოფა, ენერგია, თავდადებულობა და რაც მთავარია, ენტუზიაზმი და დიადი სოც-მშენებლობის წარმატებითი განხორციელებაში რწმენა. პროლეტარიატის გმირული თავდადებული ბრძოლა 5 წლედის 4 წელში შესრულებისათვის იძლევა ახალ სამაგალითო შრომის ფორმების და მასთან ახალ დამოკიდებულების ნიმუშებს. საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილს, მუშა-დამკვრელებს, გაათრევებული იერიში მიაქვთ მეურნეობის ვიწრო ადგილებსა და გარღვევებზედ, რომლებსაც თავისი სამაგალითო ქცევით თან გაიყოლიეს მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენები.

პროლეტლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობა არ შეეფარდება რეკონსტრუქტიულ პერიოდის მოთხოვნილებებს. მისი კადრები ჯერ საკმაოდ მცირერიცხოვანია და მათ ნაწარმოებებში კი სოციალისტური მშენებლობის პროცესების ნაწილი და გაღრმავებულ გამოხატვას, სუსტი ადგილი უკავია.

საჭიროა სასწრაფო და გაბედული ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. საჭიროა დაუღალავი შრომა თავისი კლასის რევოლიუციონურ-შემოქმედებითი გამოცდილების და დიალექტიური მატერიალიზმის მსოფლხედვით შეიარაღებული ახალი მუშათა კადრების შერჩევა აღზრდისათვის.

გრანდიოზული სოც-მშენებლობის და მეურნეობის ყველა ფრონტებზე ახალ გარდაქმნის და გარდატეხის ძირითად ბაზას წარმოადგენს ორგანიზაციულად დარაზმული მუშათა კლასი. ჩვენი მშენებლობის **მთავარი ფიგურა არის დამკვრელი მუშა**, რომელიც ენტუზიაზმით გამსჭვალული ქმნის შრომის კომუნისტურ ფორმებს, ამიტომ ლიტერატურაშიც მან უნდა დაიკავოს სათანადო ადგილი, რომლისაკენ უნდა ხდებოდეს გასწორება. გამოსული ზემოხსენებულიდან რუსეთის პროლეტ-მწერალთა ასოციაციამ საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად გამოაცხადა მუშა-დამკვრელთა გაწვევა ლიტერატურაში, რადგან დამკვრელთა გაწვევა მუშათა კლასის კულტურულ კადრების მომზადების სისტემაში წარმოადგენს ძლიერ მნიშვნელოვან ღონისძიებას, და უნდა გატარებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მთელი პროლეტარული საზოგადოებრივობის აქტიური მხარის დაჭერით და პირველ რიგში კი თვით პროფკავშირული საზოგადოებრივობის უშუალო დახმარებით.

მუშა-დამკვრ. გაწვევა ლიტერატურაში არ ნიშნავს და არც ისახავს მიზნად საუკეთესო მუშა-დამკვრელების წარმოებიდან წაყვანას; ეს გაწვევა არ ისახავს მიზნად მათ კაბინეტურ მეთოდით აღზრდას—მათი ლიტერატურაში შესაყვანად. ამ ამოცანის მიზანი არის ისეთი პროლეტარული მწერლების გამოყვანა და მუშური კადრის შექმნა, რომლებიც უშუალოდ დაუკავშირებენ თავის ლიტერატურულ მუშაობას ადგილზედ პრაქტიკულ საქმიანობას, რომელსაც თვითონ ეს მუშა-დამკვრელი აწარმოებს სოციალისტური შეჯიბრის გზით კვარტალური გეგმის წარმატებით შესასრულებლად თავის ქარხანა ფაბრიკა-წარმოების ყოველდღიურ მუშაობაში: დამკვრელი-აქტიური, დაინტერესებული მხატვრული ლიტერატურით, და ქარხნის კედლის გაზეთის მუშკორები—აი ეს იქნება შედეგი იმ გაწვევისა, რომლებიც უნდა მოვიდნენ ლიტერატურაში და შეადგინონ მის ხელმძღვანელი მამოძრავებელი ბირთვი—ეს ამოცანა წარმოადგენს ამ გაწვევის დანიშნულებას, რომ მოკლე ხანში დავრაზმოთ და ჩავაბათ პროლეტ-ლიტერატურაში მუშა-დამკვრელთა მასებიდან ახალი მუშა-მწერალთა და კრიტიკოსთა კადრები და გავართიანოთ სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ლიტერატურულ წრეებში — ლიტერატურულ ცეხებში. ყოველგვარ ლიტერატურულ შემოქმედების კარჩაკეტილობის ტრადიციებს უნდა გამოეცხადოს სასტიკი დაუნდობელი ბრძოლა. ახალი მუშა-მწერალი, ლიტერატურაში უნდა ხდებოდეს, რაც მთავარია სოციალისტური შეტევის და მშენებლობის წარმატებითი წინსვლის დამხმარი იარაღი. ამ მოწინავე რაზმებმა, წარმოების თვითეულ ნაკვეთებზედ უნდა შექმნან სამაგალითო კომუნისტური აღზრდის სკოლა და თან გაიყოლიონ ის ჩამორჩენილი მუშური მასის ნაწილები, რომლებსაც ჯერ კიდევ ჯეროვანად არ აქვთ შეგნებული. სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული დანიშნულება, რომ ჩვენი ყოველი ახალი დღეებითი წამოწყება, შრომის ორგანიზაციის და ყოფის ახალი სამაგალითო ფორმები—ყველასათვის გახდეს მი-





კამოს ქარხანაში დამკვრელი მოწაფე კომკავშირლები



სტალინის სახელობის ქარხანაში ავტო-სახელოსნო ცეხებში სამრეწველო გეგმას გადააჭარბეს 20 პროცენტით. სურათზე— დამკვრელი ბრიგადა

საბაძი, რადგან დღემდე ვერ გამოგვიყენებია მისი აღზრდის მეთოდი ცოცხალი და კონკრეტული მისაბაძი მაგალითებით.

მხოლოდ მარქსისტულ ლენინური მსოფხედვის და შემოქმედებითი მეთოდით შეიარაღებულ მწერალს შეუძლია, დღევანდელი პერიოდის პროლეტარული რევოლუციის სოციალისტურად მამოძრავებელ რგოლთა წინააღმდეგობების გარჩევა-განსხვავება და ჩვენი ისტორიული ეპოქის შესაფერი მხატვრული სახეების გამოძებნა-ასახვა.

გეგმიურად უნდა ჩატარებული იქნას წინასწარ გამომუშავებულ გეგმით მსხვილ წარმოებს დაწესებულებებში და მსხვილ საწარმოო ცენტრებში ფართო მოხსენებები მუშა დამკვრელების გაწვევის შესახებ, რისთვის დაკვრითი წესით მობილიზაციაქმნილი უნდა იქნეს მწერალთა ძალები.

ადგილებზე საჭიროების მიხედვით რაიპროფსაბჭოსთან უნდა დაარსდეს ისეთივე სარაიონო შტაბები, როგორც ქალაქში. ცალკე ინდუსტრიალური კავშირები ამ მუშაობას ატარებენ შტაბებთან შეთანხმებით, ყოფენ თავიანთ ნებაყოფლობითი ბრიგადებს და უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას.

აღსანიშნავია ის რომ მოსკოვის კომიტეტმა მოწვეულ თათბირის შემდეგ, წინადადება მისცა ქვედა სარაიონო ორ-ბს და უჯრედებს ამ ამოცანის შესრულების საქმეში, რომ პარტ. და კომკავშირის უჯრედებს მიეღოთ თავის თავზე ლიტსალამოების მოწყობა, ბრიგადებისადმი და სარაიონო შტაბებისადმი დახმარება. აღსანიშნავია ის მოვლენაც, რომ ამ მოწოდებასთან დაკავშირებით საკავშირო კომკავშირმა გაატარა კამპანია პროლეტ. ლიტერატურის, კომკავშირული ფრონტის გასაძლიერებლად.

პრაქტიკულად საჭიროა: რომ საზელგამმა ამ მიმართვის რეალიზაციისათვის კავშირი დაიკავოს ზემოდაღნიშნულ ორგანიზაციებთან, საჩქაროდ გამოუშვას პოპულარული ბროშურები, თეზისები, და მოაწყოს მთელი პროლეტმწერალთა სანიმუშო ნაწარმოებათა ფართო მასებში, და ფაბრიკა-ქარხნებში წინ წაწევა. დაწყებული უნდა იქნეს სამზადისი გამოსაცემად დამკვრელ მწერალთა სანიმუშო ნაწარმოებების ან უნდა გამოშვებული იქნეს ერთდროული ჟურნალი ან კრებული ახლად დაწყებ მუშა-მწერალთა მხატვ. ნაწარმოებების, სანიმუშო მაგალითების გამოსაშვებად, რაც ყოველივე წინასწარ გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს უნდა წარმოადგენდნენ. უნდა მოეწყოს შეჯიბრი, გამოიცეს და დაჯილდოვებულ იქნას ის მუშა მწერალი რომელიც უკეთ შეარჩევს მასალას და ოსტატურებელ მხატვრულ ფორმეში გადმოსცემს ჩვენი დღევანდელი სოციალისტური მშენებლობის, შრომის სამაგალითო ორგანიზაციას და მებრძოლი ენტუზიაზმით გამსჭვალულ გმირებს.

რა პრაქტიკული მოვალეობები აწევს [illegible] ორგანიზაციებს და თვით მწერლებს ამ საქმის შესრულებაში. პირველ ყოვლისა მწერალთა კოლექტივებმა და ბრიგადებმა მთელი მუშაობა უნდა ააგონ სოც-შეჯიბრის მეთოდზე, როგორც კომუნისტური აღზრდის და შრომის ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდი, რაც გამოიხატება როგორც ინდივიდუალური მოვალეობის მწერლების მიერ თავზე აღებით ერთი მეორეს შორის, ისე ბრიგადებს შორისაც. ადგილობრივად ფაბრიკა-ქარხნებში არსებული ლიტ. წრეების მუშაობაში უნდა ჩაბმული იქნან მუშკორთა წრეები, კედლის გაზეთი უნდა გახდეს ყოველდღიური მუშაობის ბასრ იარაღად, რომელშიაც მივლინებულმა მწერლებმა, ლოზუნგებით, ეპიგრამებით, ლექსით და ყოველდღიური მუშაობის ნაკლისა და მიღწევა-წარმოების აღნუსხვით იბრძოლონ სოც. შეჯიბრის უმაღლეს წერტილზე აყვანის და საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. მიმაგრებული ბრიგადები ყოველგვარ დახმარებას უწევენ ლიტწრეებს და მუშა დამკვრელებს მათი კვალიფიკაციის აწევის და მომზადების საქმეში და თვითონაც უშუალო მონაწილეობას იღებენ წარმოების ყოველდღიურ მუშაობაში. რეკონსტრუქტიულ პერიოდში, ფრონტის ყოველ ნაკვეთზე [illegible] ბატებითი ბრძოლის საქმეში, ლიტერატურამ უნდა შეასრულოს ფართო მასების ორგანიზატორის როლი. ეს ამოცანა მოითხოვს ლიტერატურის ენტუზიაზმით აღსავსე ახალ ენერგიული ძალებით შევსებას, რომლებსაც წარმოადგენენ მუშა-დამკვრელები და სამაგალითო მებრძოლი მუშები, საშრ. საფ. გეგმისათვის ბრძოლის ფრონტებიდან.

რადგან მუშა-დამკვრელებს შემოაქვთ ჩვენში მუშაობის ბოლშევიკური ტემპები, ახალი დამოკიდებულება კომუნისტურ შრომასთან, ის წარმოადგენს სოც. მშენებლობის ცენტრალურ ფიგურას, და მთელი წარმოება ორგანიზაციების მუშაობის გადახალისებას ახალ მეთოდებსა და ფორმებზე გა[illegible]ის მამოძრავებელ ძალას. სწორედ ლიტერატურული ფრონტიც საჭიროებს მუშაობის ასეთ გადახალისებას და დამკვრელ მოძრაობათა ცოცხალ ძალებს. ლიტერატურის წინ დასმული უდიდესი ამოცანები მშენებლობის პროცესის, ახალი ადამიანის და შრომის ახალი ფორმების მხატვრული ასახვისა, გამარჯვებული მუშათა კლასის მრავალ მხრივი შემოქმედებითი ცხოვრება, რომლებიც აქტიურად ჰქმნიან ახალ სოციალისტურ საზოგადოებას, მხოლოდ მათ შეუძლიან მეტი სისწრაფით მშრომელ კლასის შემოქმედებითი უნარიანობის მხატვრულ ფორმებში სწორად გადმოცემა. სწორედ ამიტომ მუშა-დამკვრელთა ლიტერატურაში გაწვევა, მათი საშუალებით ლიტერატურის გარევოლუციონერება, ხსნის პროლეტლიტერატურისათვის ფართო პერსპექტივებს, გააძლიერებს და აამაღლებს მის კლასიურ პროლეტარული ბრძოლის უნარიანობას.

ს. აბუდაძე.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



30 ნოემბერს გაიხსნა სარდარაბადის არხი სიგრძით 67 კილომეტრი.. რწყავს 25 ათას ჰექტარს საგამგო მიწას. მისი მშენებლობა, დაჯდა 6 მილიონი მანეთი



ბათომი. „ოქტომბრის რევოლიუციის“ სახელობის ნავთის გადასაქაჩავი ახალი უდიდესი ქარხანა



ზურნაბადის ჰიდრო - ელექტრო სადგურზე საბჭოთა კავშირში პირველად იხმარეს ხისგან გაკეთებული მილები სიგრძით 900 მეტრი



დამკვრელი მუშები



წითელი ქარავანი წითელ წყაროზე(კახეთი)



ბორჯომის სახერხ ქარხნისთვის მასალის მიწოდება

7/73

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავ. № 83.. შეკვ. № 19. ტირ. 6.500